გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 140 (2056) | ხუთშაბათი, 12 ოქტომბერი, 1995 წელი. | ფასი 25 თეთრი

პირველი სვეტი

სამშობლოს ჯილდოები — მუსიკოსებს

ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში განსაკუთრებული წვლილისა და საზოგადო მოღვაწეობისათვის თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის დირიჟორი ჯანსუღ კახიძე და ქართული მუსიკის განვითარების საქმეში განსაკუთრებული წვლილისათვის კომპოზიტორი გია ყანჩელი დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

გუშინ სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ დაჯილდოებულებს საზეიმო ვითარებაში გადასცა ღირსების ორდენები და მიულოცა მათ ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა. ჯილდოების გადაცემის დროს სახელმწიფოს მეთაურმა სიამოვნებით განაცხადა, რომ იგი ჯანსუღ კახიძისა და გია ყანჩელის უნიკალური შემოქმედების თაყვანისმცემელია. ქართული მუსიკის ჭეშმარიტ ვირტუოზებს, რომელთა სადირიჟორო და საკომპოზიტორო ნიჭს შეხანიშნავად იცნობს მსოფლიო მსმენელი, უსურვა წარმატებები ქართველი ხალხისა და მშობლიური ხელოვნების საკეთილდღეოდ.

ბატონებმა ჯანსუღ კახიძემ და გია ყანჩელმა მადლობა გადაუხადეს სახელმწიფოს მეთაურს მათი შემოქმედების აღიარებისათვის.

საქინფორმი.

...ნი მრეწველობის აღდგენა ...პირ დამოკიდებულებაშია ... და ელექტროენერგიის მო- ...ბაზე. ამ ზამთარსვე უნდა ...ლოთ გაზის საჭირო რაოდე- ...თ მიღება. ყველაფერი უნდა ...ოდეს იმისათვის, რომ თბო- ...ექტროსადგურები უზრუნველ- ...ყოთ საკუთარი საწვავით. ჰი- ...ოელექტროსადგურების ათვი- ... საიმედო გზად გვესახება

...იალოგი

— ბატონო როინ, მიზნები მართლ... ...ქვთ, მაგრამ ხალხს იდეები კი არა, ...ცხოვრება სურდა. რისი იმედი გაქვთ, რო... ...ას განახორციელებთ?

— მე მხოლოდ ჩემი პროფესიონალიზ... ...ნების, კომპეტენტურობის და ღმერ... ...ავს იმედი მაქვს, რომ ამ უსამინელეს... ...ში ქვეყანას გამოვიყვან კრიზისული მდო... ...დან, ლატაკ, მშიერ ხალხს დავაპურებ, ...ლუპვისაგან.

— პრეზიდენტობის კანდიდატად რომ ...ლეთ, არ გაგკვირვებიათ?

— სრულებითაც არა, მით უფრო, ...ელსაც ვიყავი წამოყენებული პრეზი... ...კანდიდატად. მე მაშინაც დიდი რეიტინ... ...მ ჩემი კანდიდატურა მოვხსენი, რა... ...ი, რომ ქვეყნისთვის ასე აჯობებდ...

— ახლაც ხომ არ მოხსნით თქვენს ...

— არავითარ შემთხვევაში! არის მუ... ...თავდასხმები ჩემზე და ოჯახის წევ... ...ამას არ შევუშინდები. თუ მომ... ...სული ეკუთვნის მაღალ ღმერთს, ...რულ სამშობლოს, ხოლო სხეულ... ჯალათებისთვის მიმიგდია.

— ამბობენ, რომ თუ თქვენს კანდიდ... ...თურმე „ვოლვოს“ გაჩუქებენ.

— ასევე მპირდება ერთი ჩემი მეგო... ...ტობის კანდიდატიც — ოღონდ არ... ...და „მერსედესს“ გაჩუქებო, მე, ...„მერსედესი“ მირჩევნია „ვოლვ...

— ...ვისი პრეზიდენტობის კანდიდატ... ...გაგიკვირდებოდათ?

— ერთხელ პარლამენტის სხდომაზ... ...რომ პრეზიდენტობის კანდიდატმა ...უნდა მოაგროვოს 200 ათასზე მე... ...ის ხელმოწერა. პარლამენტმა ეს წი... ...ამიტომაც ძალიან მიკვირს, ...იმ კანდიდატების დასახელება, რო... ...ი ხმაც კი ვერ მოაგროვეს. იტყობ... ...ველური ამბიციების ბრალია. მაღ... ...ვილის და ასეთ კანდიდატებს ალა... ...ენ. მაშინ ჩემთვის რომ დაეჯერებ... ...ლოდ 2-3 პრეზიდენტობის კანდიდ... ...ოდა. მომავალმა პარლამენტმა ეს ... ...ლისწინოს.

...ლექტორატი

დღეს პოლი...

(დასასრული)

...ბელი და აყვავებული. ვფი- ...ამ სურვილების განხორ- ...ბის მათიური პოლიტიკუ- ...როფესიული დონე ვერ გა- ...ბა მსოფლიო გლობალურ ...სებში გზების გასაკვალა- ...მაგალითად, გამსახურდიას ...სი მიმდევრების უბედურე-

დღესასწაულის წინ

კვლავ გვეწვევა თბილისობა

ძმობა, მეგობრობა, სიყვარული

სულ ახლახან ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება რესპუბლიკის დედაქალაქში თბილისობის დღესასწაულის ტრადიციის აღდგენის თაობაზე, სადაც განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია, თუ რა დიდი როლი ენიჭება ასეთ დღესასწაულს საქართველოს დედაქალაქის სავაჭრო, კულტურული და, საერთოდ, ადამიანურ ურთიერთობათა განვითარებისათვის ქვეყნის ყველა კუთხესთან, ქალაქთან, დაბა-სოფელთან, როგორი გავლენა შეუძლია მოახდინოს ამ ურთიერთობამ ჩვენი მრავალეროვანი მოსახლეობის შემჭიდროების საქმეში და სახელმწიფოს წინაშე მდგომი ურთულესი ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

სანამ წლევანდელი თბილისობის ზეიმზე მოგახსენებთ, რომელიც დედაქალაქის მერიის გადაწყვეტილებით თვის ბოლოს, 28-29 ოქტომბერს გაიმართება, წარსული ზეიმები გავიხსენოთ, ის პირველი დღესასწაულები, როცა თბილისობას მთელი რესპუბლიკა აღნიშნავდა.

— მაინც როგორ დაიბადა ამ დღესასწაულის იდეა, რომელიც წლიდან დამკვიდრდა თბილისობა ჩვენში? — ასეთი კითხვით მივმართე ქალბატონ **ნელი გურგენიძეს**, რომელიც წლების განმავლობაში ამ დღესასწაულების საორგანიზაციო ჯგუფს თაოსნობდა და დიდი შემოქმედებითი გატაცებით, ყოველი წლის ზეიმს სულ ახალსა და ახალ იერს ანიჭებდა.

— დღესასწაულის დაწესების იდეა ჩვენი რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელს ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის. იმ ხანად დიდი ყურადღება დაეთმო ძველი თბილისის უბნების აღდგენის საქმეს. მოგეხსენებათ, პირველად იგი ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია-რესტავრაციით დაიწყო. ჩვენი გამოჩენილი ხუროთმოძღვრის შოთა ყავლაშვილის პროექტით განხორციელებულმა. ძეგლად ქცეულმა ძველი თბილისის კარიბჭემ და ციხე-გალავნების ქონგურების ხილვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისელებზე. დღეს ამ სილამაზეს ადამიანების თვალი მიეჩვია, მაშინ კი, ძველი ქალაქის თითქოსდა დედაბოძის აღდგენამ გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა.

— მახსოვს ჩვენს თვალწინ როგორ იბადებოდა ეს სილამაზე, როგორ შეხაროდნენ თბილისელები, ქალაქის უძველესი გალავნის განახლებას, მოჩუქურთმებულ აივნიან სახლებს, დედაქალაქის სიძველეს რომ მოწმობენ. ისინი ყოველდღე აქ მოდიოდნენ და მშენებლებს თავს დასტრიალებდნენ. მახსოვს როგორ დავეძებდით ხოლმე ჟურნალისტები ნიადაგ მოუცლელ შოთა ყავლაშვილს, რომელიც ძველი სილამაზის წარმოჩენასა და გამომზეურებას ლამობდა.

— სარესტავრაციო სამუშაოები რომ დასრულდა, გადაწყა აღდგენილის საზეიმოდ გახსნა. ამ ზეიმს მთელი რესპუბლიკა გამოეხმაურა. ყველა რაიონისა და ქალაქის მესვეურმა გადაწყვიტა აქტიური მონაწილეობა მიეღო ამ ეროვნულ საქმეში და რაკი ზეიმის გამართვა შემოდგომას, ოქტომბრის მიწურულს დაემთხვა, ისინიც ხელდამშვენებულნი უხვი დოვლათით ჩამობრძანდნენ დედაქალაქში.

ასეთ დიდ ზეიმს, ცხადია, წინასწარ დაგეგმვა, გააზრება სჭირდებოდა. შეიქმნა შემოქმედებითი ჯგუფი ცნობილი რეჟისორის არჩილ ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით. ჩანაფიქრის თანახმად ეს სახალხო ზეიმი ღია ცისქვეშ დადგმულ გრანდიოზულ სანახობად იქცა, რომლის უშუალო მონაწილენი თბილისელები და ათასობით სტუმარი იყო. შემდგომ ზეიმებს, სამწუხაროდ, ბატონი არჩილი ვეღარ მოესწრო.

1979 წლის 28 ოქტომბერს ბარათაშვილის ქუჩის დასაწყისში სახელდახელო ტრიბუნა მოეწყო, სადაც ჩვენი დედაქალაქის თავდაპირველ ზღუდე-გალავანთან შეკრებილი სრულიად საქართველოს წარმომადგენლებს სათავეს უდგებოდნენ ახალ სახალხო დღესასწაულს. მაშინვე იშვა დღესასწაულის დევიზიც: ძმობა, მეგობრობა, ერთობა, სიყვარული.

— ამ დღესასწაულზე ტრადიციად დამკვიდრდა თბილისის საპატიო მოქალაქეების საზეიმოდ გამოცხადება...

— პირველად ოთხ თბილისელს მიენიჭა ეს საპატიო წოდება. ესენი გახლდნენ საყოველთაოდ აღიარებული მხატვარი ლადო გუდიაშვილი, დიდი მეცნიერი, აკადემიკოსი აკაკი შანიძე, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი შუშანა ჩიქოვანი და შრომის გმირი კონსტანტინე ილურიძე. შემდგომ წლებში საპატიო მოქალაქეები გახდნენ — ვერიკო ანჯაფარიძე, ირაკლი აბაშიძე, ნიკო კეცხოველი, ელგუჯა ამაშუკელი, ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი, ანდრია ბალანჩივაძე, მერაბ ბერძენიშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი, შოთა ყავლაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ზურაბ ანჯაფარიძე, ჩვენი კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, მუშების საუკეთესო წარმომადგენლები. საპატიო მოქალაქეები გახდნენ აგრეთვე ჩვენს ქალაქში დაბადებული ცნობილი მოღვაწეები, რომლებიც იმხანად სხვაგან ცხოვრობდნენ. ასე, მაგალითად, სახელგანთქმული ქირურგი ვ. ბურაკოვსკი, დირიჟორები — ნიაზი, ო. დიმიტრიადი, რეჟისორები — გ. ტოვსტონოგოვი, გ. კულიჯანოვი და სხვები.

— ის პირველი ზეიმი კიდევ რით იყო ღირსშესანიშნავი?

— არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნო რიყეზე გამართული შრომის დღესასწაული. აქ თითქოს მთელ რესპუბლიკას დაედო ბინა. თავიანთი ჰირნახულით თავს იწონებდნენ აფხაზეთის, აჭარის მეციტრუსეები, სამხრეთ ოსეთის მებაღეები, თავიანთი ნახელავი მოეტანათ ქართლის, კახეთის მევენახეებს. იქაურობას აბრუებდა თონიდან ამოყრილი პურის სურნელება. ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ერთმანეთს პიდოაბაში ეჯიბრებოდნენ ახალგაზრდები.

იმთავითვე გათვალისწინებული იყო, რომ ეს ზეიმი არა მარტო ქალაქის განახლებულ უბნებში გამართულიყო, მთელს ქალაქს ეზეიმა; ამიტომაც ყველა რაიონში გამოიყო ადგილები, სადაც რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულნი თავიანთ ჰირნახულს შესთავაზებდნენ თბილისელებს. ეს ადგილები წინასწარ გამოცხადდა და დიდი ბაზრობაც იმართებოდა, ეწყობოდა შეხვედრები საწარმოებში შრომით კოლექტივებთან. თავის მხრივ ისინი საკუთარ ნაწარმს სთავაზობდნენ ჩამოსულთ.

ქალაქის ყველა მოედანზე იმართებოდა სახალხო კონცერტები, რომელთაც არც სპეციალური პროგრამა ჰქონდათ და არც კონფერანსიე ჰყავდათ. ყველაფერი ანაზდად ხდებოდა.

ასე დაიწყო და შემდგომ, ყოველწლიურად, ძველი თბილისის ახლად აღდგენილი უბნების საზეიმო გახსნას თბილისობის ზეიმი ემთხვეოდა. დღესასწაულში ხალისით მონაწილეობდნენ ჩვენი კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები — ეროსი მანჯგალაძე, სალომე ყანჩელი, რამაზ ჩხიკვაძე, ნანი ბრეგვაძე, მედეა ჩახავა, ბუბა კიკაბიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, სოფიკო ჭიაურელი, გივი ბერიკაშვილი, გურამ საღარაძე, თამრიკო გვერდწითელი და სხვები, როგორ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ადამიანები, რომლებიც საგანგებოდ ამ დღესასწაულისათვის ქმნიდნენ ახალ ნაწარმოებებს, ახალ ლექსებს, სიმღერებს, რომლებიც დღესაც მოგვწონს.

სწორედ ზეიმის წინადღეს დაწერა მორის ფოცხიშვილმა ლექსი „თბილისობა“:

მზე ჩემს ქალაქში შუქად
იღვრება,
დღეს მზესთან ერთად
ქუჩებში ვივლი,
— თბილისს უხდება თბილი
სიმღერა
და თბილისობა უხდება თბილისს.
აღდგენილია მზის აივანი,
აღმართულია კედელი რწმენის
და დილა, როგორც ხოხბის
სიზმარი,
ანჩისხატის წინ ეშვება ფრენით.
დღეა წვისა და ცეცხლად
გიზგიზის,
რა ამოაშრობს სილაღის
წყაროს,
— დგას, როგორც დედა,
დედა-თბილისი
და შინ თავმოყრილ შვილებით
ხარობს.

ეს ლექსი მეორე დღეს თბილისელებს ლამაზი მოსაწვევით დავურიგეთ. რა დამავიწყებს გოგი ცაბაძეს, მორის ფოცხიშვილის ლექსებზე თბილისობისათვის რომ ქმნიდა უკვდავ სიმღერებს. როგორ გაიხარა ეთერ ჭელიძემ, ირაკლი აბაშიძის თბილისობისათვის დაწერილი ლექსი რომ მივეცი და ვთხოვე, სიმღერა დაეწერა:

შენ, ჩემო ბაღნარო,
შენ ჩემო სამყარო,
შენ, ჩემო ზეცაში ფრენავ;
შენ, ჩემო ქალაქო.
სულ ახლადაბალო,
შენ მზე და ვარდების ფრენა!

ამ ლექსზე ეთერმა ხომ შესანიშნავი სიმღერა შექმნა, რომელიც თბილისის საგალობლად იქცა. ანდა გავიხსენოთ იოსებ ნონეშვილი, შოთა ნიშნიანიძე—როგორ უმღეროდნენ და ესიყვარულებოდნენ თბილისობას ჩვენი სასიქადულო პოეტები.

უნდა დავასახელო ის შემოქმედებითი ჯგუფი, დღედაღამ რომ ირჯებოდა, რათა ყოველი წლის ზეიმი [illegible]ვილად სახალხო, შინაარსიანი და ლამაზი ყოფილიყო, ერთნაირად სასიხარულო, როგორც მხცოვანის, ისე ახალგაზრდისათვის. ამ ჯგუფში იყვნენ დორიან კიტია, ავთანდილ (ბაჟული) გელოვანი, ლერი პაქსაშვილი, გიგა ბათიაშვილი, რეზო მირცხულავა, თენგიზ სუხიშვილი, რეზო ჭოხონელიძე, რეზო ჭანიშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, სვეტლანა საყვარელიძე. მათ მხარში ედგნენ — აბესალომ იმედაშვილი, თინა კაჭაქიძე, შოთა დოლონაძე, გივი თალაკვაძე, მიშა გოთუა, თიესა ლესელიძე და ბევრი სხვა, მაპატიონ, თუ ყველას ვერ ჩამოვთვალი. ისინი ყოველგვარ პირობას უქმნიდნენ შემოქმედებით ჯგუფს შთანაფიქრის განხორციელებაში.

— და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო, არ მახსოვს, — ამ დღესასწაულებზე, ნახევარი მილიონი ადამიანი მაინც მონაწილეობდა, — რაიმე კრიმინალური შემთხვევა ყოფილიყო.

— სწორი ბრძანდებით. ეს ასეც იყო, რაც ერთხელ არათუ ჩხუბის, უბრალო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ აღნუსხულა, ეს არც არის გასაკვირი. როცა ადამიანები ზეიმზე ამაღლებული განწყობით მოდიან, იქ ბოღმას და ჩხუბს რა ადგილი აქვს.

— და მაშინ ერთობა და მეგობრობაც როგორი მტკიცე და ურყევი ჩანდა...

— დიახ, დაუვიწყარია, როგორ ზეიმურად, სიმღერით შემოვიდნენ პირველივე თბილისობაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლები, მათ ხანდაზმულთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მოუძღოდა. ანდა ოსები — ხელდამშვენებულნი, ხავითა და ბარაქით რომ ეწვივნენ თბილისს.

ბევრი კარგის გახსენება შეიძლება და იმედია, თბილისობის აღდგენა სიკეთეს მოუტანს დედაქალაქს და, საერთოდ, სრულიად საქართველოს. ახლანდელი ზეიმის მთავარი მოტივი ხომ ძმობის, მეგობრობის, ერთობის აღდგენაა, დაე, განახლებულმა დღესასწაულმა უწინდელი ამაფრენა და სიხარული მოჰგვაროს თბილისელებს და მთელ რესპუბლიკას.

ლარისა ხუბულური.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

რეგისტრირებულია პარტიული სიები

გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია პარტიული სიების რეგისტრაციის შესახებ. აღინიშნა, რომ რეგისტრაციაში გატარებულია 58 პარტია და ბლოკი. რეგისტრაციიდან მოიხსნა სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა უფლებების დაცვის ფონდი, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

სხდომაზე ცალკე მსჯელობის საგნად იქცა საარჩევნო ბლოკ „ეკონომიკური აღორძინება — უვითლების“ (კონსტიტუციურ-დემოკრატიული და პროგრესულ-დემოკრატიული პარტიები), კერძოდ, პარტიული სიის რეგისტრაციაში გატარების საკითხი, რომლის შესახებაც 7 ოქტომბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამო სარჩელი იხილება უზენაეს სასამართლოში.

არჩევნების მომზადებასა და გამართვასთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობის წესი გააცნო კომისიის საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელმა ზურაბ ნაცვლიშვილმა.

კომისიის სხდომაზე გაიმართა წილისყრა პარტიული სიებისა და ბლოკების რიგითობის დასადგენად.

საქინფორმი.

დადგინდა პრეზიდენტობის კანდიდატთა რიგითობა

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 9 ოქტომბერს გამართულმა წილისყრამ დაადგინა პრეზიდენტობის კანდიდატთა შემდეგი რიგითობა:

1. ედუარდ შევარდნაძე
2. ქართლოს ღარიბაშვილი
3. როინ ლიპარტელიანი
4. აკაკი ბაქრაძე
5. ჯუმბერ პატიაშვილი
6. პანტელეიმონ გიორგაძე.

ჟამი დიდი არჩევნისა

ქვეყნის სათავეში გამოცდილი მესაჭე უნდა იდგეს

ჩვენ, დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში გამოვლილი ქართველი ოფიცრობა აღვნიშნავთ რა საქართველოში პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილიზაციისა და დემოკრატიული აღმშენებლობის გზით გადადგმულ სასიკეთო ნაბიჯებს;

აღვიქვამთ რა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების კანონების მიღებას, როგორც ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას;

ვაღიარებთ რა ამ კანონების უზენაესობას და ვთვლით რა მათ პროგრესულ ნაბიჯად, რომელიც გადადგმულია დამოუკიდებელი და სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების, ეკონომიკის აღორძინების, ყველა სოციალური ფენის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ჭეშმარიტად თავისუფალი, სოციალურად დაცული საზოგადოების აღმშენებლობისათვის;

კმაყოფილებით აღვიქვამთ რა რესპუბლიკის მთავრობის მიერ ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავებითა და დამტკიცებით დაწყებულ რეალურ რეფორმატორულ მოძრაობას;

მივესალმებით ერთგვარ გამოცოცხლებას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, სოციალურ საკითხთა სფეროში და გვჯერა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა საქართველოს ყველა მოქალაქეს შეექმნება ლაღად ცხოვრების პირობები;

საქართველოს გენერლებისა და ოფიცრების რესპუბლიკური გაერთიანების მეორე ყრილობის მონაწილეები ვგმობთ და სამარცხვინო ბოძზე ვაკრავთ სეპარატიზმსა და ტერორიზმს, ბარბაროსობად მივიჩნევთ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიმართ განხორციელებულ ტერორისტულ აქტს, რომელსაც მთელ ხალხთან ერთად ჩვენც ვაფასებთ როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას.

ყრილობის მონაწილეებს მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობისა და განვითარების ამ ურთულეს ისტორიულ ეტაპზე ქვეყანას სათავეში უნდა ედგეს გამოცდილი მესაჭე-პოლიტიკოსი, ვისაც ხელეწიფება ბოლომდე მიიყვანოს საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობა. ასეთი ერთადერთი პიროვნება ბატონი ედუარდ შევარდნაძეა.

საქართველოს გენერლებისა და ოფიცერთა რესპუბლიკური გაერთიანების მეორე ყრილობის მონაწილენი მხარს ვუჭერთ ბატონ ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე.

საქართველოს გენერლებისა და ოფიცერთა რესპუბლიკური გაერთიანების მეორე ყრილობის მონაწილენი.

ელექტორატი

დღეს პოლიტიკა არაპროფესიონალთა პროფესიად იქცა

ჰენრი კუპრაშვილმა დაამთავრა თბილისის 51-ე საშუალო სკოლა. ისტორიკოსის სპეციალობას დაეუფლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კითხულობს პოლიტოლოგიის კურსს. მუშაობს სახელმწიფოს მეთაურის დავალებათა შესრულების კონტროლისა და ცენტრალურ მმართველობით ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელად, მთავარ სახელმწიფო მრჩევლად.

1978 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა ნახევრადლეგალური პატრიოტული ორგანიზაცია „8 თებერვლის კავშირი“ (დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღე), იყო საქართველოს სახალხო ფრონტის ერთ-ერთი ორგანიზატორი, არჩეული იყო ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის“ წინამძღვრად, სამოქალაქო მოძრაობა „დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს“ კოორდინატორად, საქართველოს ზღვისპირეთის დამცველთა ასოციაცია „აიეტის“ თავმჯდომარედ და სხვა. დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“. უპარტიოა.

— დღევანდელი პარლამენტისადმი თქვენი დამოკიდებულება?

— საზოგადოების, სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირება გულისხმობს, როგორც მატერიალური დოვლათის მომხმარებელი („მჭამელი“) ფენის, ისე ამ დოვლათის მწარმოებელთა ფენის არსებობას. ჩვენი საზოგადოება კი ჯერჯერობით ძირითადად მომხმარებლებისაგან შედგება. დღეისათვის მდგომარეობას კი ურანს გამოსწორების პირი, მაგრამ დღეს მოქმედი პარლამენტის არჩევის პერიოდში მწარმოებელი, როგორც საზოგადოების ფენა, საერთოდ არ არსებობდა. ბუნებრივია, რომ მომხმარებელთა საზოგადოებაში არჩეული პარლამენტის შემადგენლობა (გამონაკლისების გარდა), მომხმარებელთა ინტერესების გამომხატველი და ამსახველია.

წარმოებისა და მოხმარების დარღვეული დიალექტიკა მთელ რიგ უარყოფით მოვლენებს იწვევს, მათ შორის მთავარი ჯერ კიდევ დარჩენილი მატერიალური დოვლათის მითვისებისათვის მძაფრი ბრძოლაა. გამარჯვების სხვაზე მეტი შანსი აქვს იმას, ვინც ხელისუფლებაში თანამდებობას ჩაიგდებს. ეს კი ყაჩაღობის შედარებით ცივილიზებული ფორმაა. ამის პარალელურად, რა თქმა უნდა, „სუფთა“ სახით ძარცვა-ყაჩაღობა სახელმწიფო თუ კერძო პირთა ქონების გადანაწილებაში გამორიცხული არ არის. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი არაპროფესიონალთა „კეთილშობილური მიზნებით“ შენიღბული გააფთრებული სწრაფვა თანამდებობის ხელში ჩასაგდებად.

მწარმოებელს განსხვავებული ფსიქოლოგია და ინტერესი აქვს — წარმოებისათვის ნორმალური პირობების შექმნა, კანონების სრულყოფილი მექანიზმების ამოქმედება, დაგროვილი ქონების უსაფრთხოება, სიმშვიდის გარანტია, ძლიერი სამართლებრივი ინსტიტუტების არსებობა და ა. შ. ამიტომ, როდესაც ეს ფენა ჩამოყალიბდება, გაძლიერდება და, რაც მთავარია, შეიქმნება სამოქალაქო საზოგადოება, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ პროფესიული პარლამენტის არსებობაზე.

და მაინც დღევანდელი პარლამენტის როგორც განვითარების პროცესში მყოფი კანონშემოქმედებითი ორგანოს საქმიანობა, მით უმეტეს, — კონსტიტუციის მიღება, მთლიანად შეიძლება დადებითად შეფასდეს. სოლიდურობის ტენდენცია გამოიკვეთა რიგი ფრაქციებისა და პარლამენტის წევრების საქმიანობაში. მაგალითად, ოპოზიციიდან პოლიტიკური ინტელექტითა და კულტურით გამოირჩევა აკაკი ასათიანის, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას და სხვათა გამოსვლები.

— ჩვენი საზოგადოება დღეს უკიდურესად პოლიტიზებულია. თქვენი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი?

— იმის გამო, რომ საკმაოდ დიდხანს ამოვარდნილი ვიყავით მსოფლიო ცივილიზაციის ბუნებრივი განვითარების პროცესიდან, ჩამორჩით პოლიტიკური მექანიზმებისა და, საერთოდ, პოლიტიკის განვითარების ტემპსაც.

კარგად მოგეხსენებათ, რომ პოლიტიკა მეორადია საზოგადოებასთან და მის ცივილიზაციასთან მიმართებაში, მაგრამ ამავე დროს არის ამორფული მასიდან საზოგადოების წარმოშობისა და მისი არსებობის შენარჩუნების პირობაც.

პოლიტიკის (ვგულისხმობ სახელმწიფოს მართვას) პრაქტიკული განხორციელება ადამიანთა საქმიანობის უმაღლესი საფეხურია და შესაბამის ინტელექტს, პროფესიონალიზმსა და კომპეტენციას მოითხოვს.

სამწუხაროა, რომ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში პოლიტიკა არაპროფესიონალთა პროფესიად იქცა. ეს კურიოზული ფაქტი ადვილად შეიძლება აიხსნას, რადგან პოლიტიკას ახასიათებს შეფასების მოჩვენებითი სიიოლე და იქმნება მკაცრად ჩამოყალიბებული კრიტერიუმების არარსებობის ილუზია, რომ პოლიტიკაზე მსჯელობა ადვილია, რომ ყველაფერში გაცნობიერებული ხარ და ადვილად ხელგეწიფება ეს საქმე მით უმეტეს „ეადვილება“ პოლიტიკოსებსა თუ ხელმოცარულ კაცს, რომელსაც ან ვერ „უშოვია“ თანამდებობა, ან მისი დაკარგვით არის განაწყენებული. დილეტანტებში დიდ როლს თამაშობს არა პროფესიონალიზმი, არამედ ემოციური მუხტი და სუბიექტურობა.

როდესაც ასეთი „პოლიტიკოსი“ პროფესიონალ პოლიტიკოსს აკრიტიკებს და არც მალავს პირველობის საკუთარ პრეტენზიას (ასეთები კი მრავლად არიან) ამით იგი უდიდეს პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე, მითუმეტეს ჩვენს ქვეყანაში, სადაც დამოუკიდებელი სახელმწიფო საუკუნეების მანძილზე არ გვქონია და დაკარგული გვაქვს „პოლიტიკის კეთებისა“ და დიპლომატიის ტრადიციები, დილეტანტები „მარტივი ხალხია“. მათგან პროფესიონალების „კრიტიკა“ ობივატელის შეზღუდულობის ადეკვატურია,

ერთ ისტორიულ რეალობას დავისახელებთ. დავით აღმაშენებლის მიერ წარმოებული პოლიტიკა, რომელიც გლობალურ გარდაქმნებს ითვალისწინებდა, თანამედროვეების დიდი ნაწილის აღტაცებას ვერ გამოიწვევდა (მარტო ყივჩაღების ჩამოსახლებაზე და ურჩი ქართველებისვე წინააღმდეგ მათ გამოყენებაზე რომ არაფერი ვთქვათ), მისი პოლიტიკური მოღვაწეობა, შედეგებიდან გამომდინარე სრულად მხოლოდ შთამომავლებმა შეაფასეს (გამონაკლისები მის თანამედროვეებშიც იყო).

დიდი პოლიტიკის როგორც განხორციელება, ისე შეფასება მაღალი პროფესიონალიზმის, კომპეტენციისა და გამოცდილების გარეშე შეუძლებელია, რადგან პოლიტიკის მიზანი ის კი არ არის, რაზეც ლაპარაკობენ, არამედ, ის, რაზედაც დუმან. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხალხი ინტუიციურად მაინც არჩევს დიდ პოლიტიკას პოლიტიკანობისგან.

— ამ ზოგადი მსჯელობიდან კონკრეტულად პიროვნებათა მოღვაწეობის ანალიზზე ხომ არ გადახვიდოდით? მოგეხსენებათ, რომ არც პოლიტიკოსები, არც პოლიტიკანები ჩვენ არ გვაკლია.

— დღეს მოქმედ ქართველ პოლიტიკოსთა გალერეას რომ ვუყურებ, შემიძლია თამამად ვთქვა: ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური შინაარსისა და დონის შესაბამისი პოლიტიკოსი ჯერჯერობით არა ჩანს.

ვგულისხმობ პოლიტიკოსის გონებრივ ავლადიდებს, პოლიტიკის „კეთების“ გამოცდილებას, მასშტაბს, სტილს, მეთოდებსა და ფორმებს, თორემ ეჭვი არ მეპარება ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერების მისწრაფებაში იხილონ საქართველო ერთიანი, დამო-

(დასასრული 2-ე გვ.)

5 ნოემბერი არჩევნების დღეა!

ოფიციალური დოკუმენტები

დანიშვნა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

თ. ლომაშვილის დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს თეიმურაზ ლომაშვილი დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 6 ოქტომბერი.

გათავისუფლება

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

ბ. გონაშვილის დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ბექან გონაშვილი დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 6 ოქტომბერი.

დაჯილდოება

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

მ. მორჩილაძისა და მ. ქურდიანის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის, მწერალი **მიხო მორჩილაძე** და პოეტი **მიხეილ ქურდიანი** დაჯილდოვდნენ ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 1 ოქტომბერი.

სოფელი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

„საქართველოს რესპუბლიკაში კავკასიური სოჭის თესლის (გირჩის) დამზადებისა და რეალიზაციის რეგულირების შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 19 აგვისტოს № 320 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში უკანასკნელ პერიოდში შექმნილია უკიდურესად მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა, დიდია მიწისძვრისა და სხვა სტიქიური უბედურებებისაგან მიყენებული ზარალი, გაუარესდა დემოგრაფიული მდგომარეობა.

შექმნილი ვითარების გაუმჯობესებისა და მხარის რაიონების ბიუჯეტების ნაწილობრივი შევსების უზრუნველყოფის მიზნით:

შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს რესპუბლიკაში კავკასიური სოჭის თესლის (გირჩის) დამზადებისა და რეალიზაციის რეგულირების შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 19 აგვისტოს № 320 ბრძანებულებაში და მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კავკასიური სოჭის თესლის (გირჩის) ექსპორტის შედეგად მიღებული მოგებიდან და დამატებითი ღირებულების გადასახადიდან, ბიუჯეტში გადასახდელი თანხის 70 პროცენტი ჩაირიცხოს ძირითადი დამამზადებელი რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში, ხოლო 30 პროცენტი — რესპუბლიკის ბიუჯეტში".

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

მ. ბოხუას ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის დროს პროფესიული მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის დირექტორის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კაპიტანი მერაბ ბოხუა დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ე. შევარდნაძე.

ეკონომიკური რეფორმა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკაში სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის განვითარების ხელშეწყობისა და ფინანსური უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ

სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის თანამედროვე სისტემების დანერგვა რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შემადგენელი ნაწილია და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.

უკანასკნელ წლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის ეროვნული სისტემების ნორმატიული და ორგანიზაციული საფუძვლები თავისუფალი ეკონომიკისა და საერთაშორისო პრაქტიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

აღნიშნული სისტემების დანერგვა, მუშაობა და სრულყოფა შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას საჭიროებს, რაც მნიშვნელოვან ხარჯებთან (მათ შორის სავალუტო) არის დაკავშირებული და ამჟამად არსებული დაფინანსების წესითა და მოქმედი საკანონმდებლო აქტებით სათანადოდ ვერ ხორციელდება.

საქართველოს რესპუბლიკაში სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის თანამედროვე სისტემების დანერგვის, ფუნქციონირებისა და შემდგომი სრულყოფის სახელმწიფოებრივი ხელშეწყობისა და ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით:

1. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს:

თავისუფალ ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის ღონისძიებების დასახვისა და განხორციელებისას, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის დარგების მნიშვნელობისა და მათი სახელმწიფო დაფინანსებით უზრუნველყოფაში ჯერ კიდევ არსებული სიძნელეებიდან გამომდინარე გაითვალისწინონ საქართველოს რესპუბლიკის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტის („საქსტანდარტი") შესაბამისი მხარდაჭერის მიზანშეწონილობა. ამასთან, აღმოუჩინონ „საქსტანდარტს" მეთოდიკური დახმარება აღნიშნული დარგების საკუთარი შემოსავლების გამოყენებით დაფინანსების მეთოდზე გადასვლის საქმეში;

სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სამუშაოების იმ სახეობათა ასიგნება, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით ექვემდებარებიან სავალდებულო სახელმწიფო დაფინანსებას, განახორციელონ „საქსტანდარტის" მეშვეობით;

საქართველოს რესპუბლიკის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტს, დაქვემდებარებული ცენტრებისა და ტერიტორიული ორგანოების დაფინანსება განახორციელონ სახელმწიფო მმართველი ორგანოებისათვის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში ნაცვლად მეცნიერების ხაზით გათვალისწინებული ხარჯებისა.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტს:

სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სამუშაოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, ამ საჭიროებისათვის საფინანსო სახსრების მოზიდვის, საბიუჯეტო ასიგნებათა დაზოგვისა და ხვედრითი წილის თანდათანობით შემცირების მიზნით, შეასრულოს მის კომპეტენციაში შემავალი, აგრეთვე, დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების ფარგლებში სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სამუშაოები სახელშეკრულებო ფასებით და „საქსტანდარტის" მიერ დაწესებული, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული ტარიფების საფუძველზე;

1995-1996 წლებში შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ „საქსტანდარტს" დაქვემდებარებული ცენტრების ტერიტორიული ორგანოებისა და ორგანიზაციების შესანახი ხარჯების (გარდა, სახელმწიფო ინსპექტორების ხელფასისა), დაფარვას შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული თანხებით.

3. დადგინდეს, რომ „საქსტანდარტის", მისდამი დაქვემდებარებული ცენტრების, ტერიტორიული ორგანოებისა და ორგანიზაციების მიერ შესრულებული სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სამუშაოებიდან მიღებული მთელი თანხა 1998 წლის 1 იანვრამდე ირიცხება „საქსტანდარტის" ანგარიშსწორების ანგარიშზე და მთლიანად რჩება „საქსტანდარტის" განკარგულებაში. „საქსტანდარტი" მას წარმართავს მხოლოდ და მხოლოდ სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სისტემების დანერგვის, ფუნქციონირების და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფისათვის, მათ შორის საეტალონო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განახლებისათვის, ნორმატიული დოკუმენტების ფონდის ჩამოყალიბების, გაფართოებისა და წარმოებისათვის, საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის, საერთაშორისო (რეგიონალურ) და სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის, აგრეთვე, კადრების ხელახალი მომზადების, მათი შრომითი დასაქმების, ანაზღაურების დონის ამაღლებისა და სოციალური პრობლემების მოგვარებისათვის. სოციალური ანარიცხები (ხელფასის ანარიცხები) განისაზღვრება იგივე წესით, რაც გათვალისწინებულია ხელფასის ფონდის საბიუჯეტო ასიგნებისას.

4. დადგინდეს, რომ „საქსტანდარტის" მიერ გამოვლენილი სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევებისათვის იურიდიული პირებისათვის გადახდევინებული ჯარიმების 80 პროცენტი ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში ორგანიზაციის (საწარმოს) დაქვემდებარების მიხედვით, ხოლო 20 პროცენტი, — „საქსტანდარტის" ანგარიშსწორების ანგარიშზე.

ფიზიკური პირებისათვის გადახდევინებული ჯარიმების 80 პროცენტი ირიცხება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში, ხოლო 20 პროცენტი „საქსტანდარტის" ანგარიშსწორების ანგარიშზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 17 იანვრის 7 და 10 ბრძანებულებებში.

5. დაწესდეს, რომ გაზომვათა საშუალებების დამოწმების სამუშაოები „საქსტანდარტს" უნაზღაურდება „საქსტანდარტთან" დამოწმების გრაფიკების შეთანხმების შემდეგ არა უგვიანეს ერთი თვისა. საბოლოო ანგარიშსწორება ხორციელდება დამოწმების სამუშაოთა დამთავრების დროისათვის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოსა და მოქმედი ფულის კურსის გათვალისწინებით.

გაზომვათა საშუალებების დამოწმების ღირებულების გადახდის ვადის გადადების შემთხვევაში, დავალიანება ამოიღება უდავო წესით.

6. აიკრძალოს „საქსტანდარტის" დასკვნის გარეშე მეწარმე სუბიექტებისათვის ნებართვის მიცემა ისეთი პროდუქციის წარმოებისათვის, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო სტანდარტებს. „საქსტანდარტის" მიერ ამ მიზნით, გაწეული დანახარჯები ანაზღაურდეს დადგენილი წესით.

7. დადგინდეს, რომ დამოწმებას დაქვემდებარებულ გაზომვათა საშუალებების დამზადება, შეკეთება, გაყიდვა, გაქირავება ხორციელდება მხოლოდ „საქსტანდარტის" მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე და ამასთან, დაკავშირებული სამუშაოები ანაზღაურდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასებში.

8. „საქსტანდარტის" მიერ შესრულებული სერტიფიკაციის ორგანოებისა და საგამოცდო ლაბორატორიების აკრედიტაციასთან დაკავშირებული სამუშაოები ანაზღაურდება სათანადო სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე.

9. უცხოეთიდან პროდუქციის შემოტანისას პროდუქციის ხარისხის კონტროლისათვის იმპორტიორი „საქსტანდარტს" უხდის შესრულებული სამუშაოს ღირებულებას რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული ნიხრის მიხედვით.

საიმპორტო გაზომვათა საშუალებების სახელმწიფო მისაღები გამოცდების სამუშაოები ანაზღაურდება იმპორტიორის მიერ „საქსტანდარტთან" ხელშეკრულების საფუძველზე.

10. ამოქმედდეს 1995 წლის 10 თებერვალს ქ. ალმა-ათაში ხელმოწერილი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება „დამოწმებისა და მეტროლოგიური ატესტაციის მიზნით ნორმატიული დოკუმენტების, ეტალონების, გაზომვათა საშუალებების, სტანდარტული ნიმუშების საზღვარზე გატანისა და შემოტანის დროს საბაჟო გადასახადის, გადასახადებისა და სპეციალური ნებართვის გაწევისაგან განთავისუფლების შესახებ".

11. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს დახმარება გაუწიოს „საქსტანდარტს" კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებების დანერგვაში.

12. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საზღვარგარეთის ქვეყნებთან, საერთაშორისო (რეგიონულ) ორგანიზაციებთან შეთანხმებების, ხელშეკრულებების დადებისას, აგრეთვე, საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ დოკუმენტების მომზადებისას, როგორც წესი, გაითვალისწინოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის განხრით კავშირის დამყარებისა და თანამშრომლობის განვითარების საკითხები.

13. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულებმა მხარეებში, ქალაქების მერიების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა:

დახმარება გაუწიონ მათ ტერიტორიაზე მოქმედ „საქსტანდარტის" ორგანიზაციებს პროდუქციის ხარისხსა და გაზომვათა საშუალებებზე სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის უთუო განხორციელებაში;

არ დაუშვან „საქსტანდარტის" ორგანიზაციების სამუშაო ფართობის სხვა მიზნებისათვის გამოყენება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმების გარეშე და დაუყოვნებლივ შეასრულონ ამ საკითხთან დაკავშირებით ადრე მიღებული გადაწყვეტილებები.

14. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

განიხილოს „საქსტანდარტის" ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის საკითხი რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის, ახალი სახეობების სამუშაოთა შესრულების აუცილებლობის, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარის", აგრეთვე, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის „საქსტანდარტის" დაქვემდებარებაში გადაცემის გათვალისწინებით;

განიხილოს დიღმის მასივში მშენებარე „საქსტანდარტის" ლაბორატორიული კომპლექსის მშენებლობის განახლების საკითხი, მათ შორის, საერთაშორისო პროგრამების (პროექტების) მეშვეობით;

განიხილოს სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტების სავალდებულო სერტიფიკაციის ორგანოების და იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის საკითხი, რომელთა საქმიანობა მიმართულია გაზომვათა საშუალებებით რესპუბლიკის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურსა და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს წინადადებები საკანონმდებლო აქტებში სათანადო ცვლილებების შესატანად.

15. ბრძანებულება გამოქვეყნდეს პრესაში.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 18 სექტემბერი.

პრივატიზაცია და კონტროლი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ პრივატიზებული საწარმოების საქმიანობის შემოწმების წესის შესახებ

პრივატიზებული საწარმოების საქმიანობის შემოწმების სისტემის შემდგომი სრულყოფისა და მეწარმეთა კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით:

1. პრივატიზებულ საწარმოებში საპრივატიზაციო დოკუმენტაციის კანონიერებისა და ძირითადი ფონდების შეფასების სისწორის შემოწმება განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მიერ კოორდინირებული წესით სახელმწიფო ქონების მართვის ცენტრალურ და რეგიონალურ სტრუქტურებში.

უშუალოდ პრივატიზებულ საწარმოებში ცალკეული საკითხების გადამოწმება დაიშვება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

2. პრივატიზებული საწარმოების საფინანსო საქმიანობისა და მათ მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის საკითხების შემოწმება განხორციელდეს მხოლოდ საგადასახადო ინსპექციის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პრივატიზებულ საწარმოს მიღებული აქვს სახელმწიფო კრედიტები ან ჰუმანიტარული გზით შემოტანილი ნედლეული და მასალები და ამასთან დაკავშირებით, მინიჭებული აქვს კონკრეტული ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობისას.

3. სხვა დანარჩენ შემთხვევებში, პრივატიზებული საწარმოების შემოწმება განხორციელდეს „საქართველოს რესპუბლიკის მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის კოორდინირების შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 30 იანვრის № 26 ბრძანებულების შესაბამისად.

ე. შევარდნაძე.

ენერგეტიკა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის საქენერგოს დეპარტამენტის სისტემაში მძიმე ფინანსური მდგომარეობის დაძლევის საგანგებო ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში ძირეული ეკონომიკური გარდაქმნების მიმდინარე ეტაპზე მთელი სიმწვავით იჩინა თავი გადასახადების გადაუხდელობით გამოწვეულმა კრიზისმა. განსაკუთრებით შემაშფოთებელი ვითარებაა შექმნილი ელექტროენერგეტიკულ სისტემაში, რაც დიდ საშიშროებას უქმნის ეკონომიკურ რეფორმებს, მეურნეობის აღდგენა-განვითარებასა და თვით ფუნქციონირებასაც კი. მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების საყოველთაო გადაუხდელობის შედეგად საქენერგოს დეპარტამენტის დებიტორულმა და, აქედან გამომდინარე, კრედიტორულმა დავალიანებებმა კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია, თვეობით არ ჩაიცემა ხელფასები და არ ანაზღაურდება შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ძირითადად უსახსრობის გამო მეტად სავალალო მდგომარეობაშია დარგის უმნიშვნელოვანესი ობიექტები და ზოგიერთი მათგანი ავარიულ რეჟიმში მუშაობს.

წლის დასაწყისიდან დაბალი ძაბვის ელექტროქსელების მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის გადაცემას რაიმე დადებითი შედეგი არ გამოუღია, ნაკლებად იგრძნობა ამ პრობლემის მოგვარებისათვის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულების, ქალაქების მერების, რაიონების გამგებლების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობა, რომელიც განსაზღვრულია სახელმწიფოს მეთაურის ა. წ. 5 ივლისის № 268 ბრძანებულებით.

ელექტროენერგეტიკაში არგადახდების არსებული კრიზისის შემდგომი გაგრძელების მოსალოდნელი კატასტროფული შედეგების თავიდან აცილების მიზნით და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით:

1. შეიქმნას მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების სპეციალური დროებითი საგანგებო ენერგეტიკული კომისია (ტექსტში შემდგომ — საგანგებო ენერგეტიკული კომისია), № 1 დანართის თანახმად, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა, რომელიც უშუალოდ ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის წინაშე.

2. საგანგებო ენერგეტიკული კომისიის უფლებამოსილება განისაზღვროს დროებით ერთი წლის ვადით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გაგრძელდება ქვეყნის პრეზიდენტის ნებართვით.

3. დამტკიცდეს საგანგებო ენერგეტიკული კომისიის დებულება № 2 დანართის თანახმად. კომისიის თავმჯდომარემ თვეში ორჯერ მოახსენოს სახელმწიფოს მეთაურს გაწეული მუშაობისა და მისი შედეგების შესახებ. კომისიამ ერთი კვირის ვადაში ჩამოაყალიბოს რეგიონული სამუშაო ჯგუფები და უზრუნველყოს მათი მუშაობის კოორდინაცია.

4. საქენერგოს დეპარტამენტისა და მის სისტემაში შემავალ ელექტროენერგიის რეალიზაციისა და ტრანსპორტირების საწარმოებს მიენიჭოთ კანონიერი უფლება ცენტრალიზებულ მომხმარებლებს — სამრეწველო და საწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტებს, რომლებიც არ იხდიან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს არსებული წესის მიხედვით, მთლიანად შეუწყვიტონ ელექტროენერგიის მიწოდება და მკაცრად გამოიყენონ ეს სანქციები ანაზღაურების სტიმულირებისათვის.

ამასთან კომისიამ განახორციელოს საწარმოო სფეროს დანარჩენი მომხმარებლებისაგან ელექტროენერგიის საფასურის ამოღების რადიკალური ღონისძიებები.

5. მუნიციპალური და რაიონული ელექტროკომპანიების მიერ მომხმარებლებისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მიზნით, საგანგებო ენერგეტიკულმა კომისიამ შესაბამისი დავალებები და რეკომენდაციები მისცეს მათ, ამასთან, განახორციელოს ელექტროენერგიის მიწოდების პროპორციული შემცირებები წინა თვეებში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების გადახდიდან გამომდინარე.

6. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 5 ივლისის № 268 ბრძანებულებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულებმა, ქალაქების მერებმა და რაიონების გამგებლებმა საჭიროების შემთხვევაში უშუალო მონაწილეობა მიიღონ საგანგებო ენერგეტიკული კომისიის მუშაობაში.

7. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების საფინანსო სამსახურებმა:

ა) დაუყოვნებლივ განახორციელონ შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ა. წ. 1 ოქტომბრის მდგომარეობით არსებული დავალიანებებისა და საქენერგოს დეპარტამენტის შესაბამისი ბიუჯეტებისადმი დავალიანებების ურთიერთჩათვლები და ამის შემდეგ დარჩენილი დავალიანებების დაფარვა;

8. მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ამოღებაზე კომისია ზემოქმედებს მუნიციპალური ელექტროენერგეტიკული კომპანიების მეშვეობით, რომელთა საქმიანობაც მოცემულ სფეროში განიხილება იმავე წესით, როგორითაც საწარმოო სფეროს არგადამხდელი ობიექტებისა.

9. განსაკუთრებულ შემთხვევებში კომისიას შეუძლია მისცეს რეკომენდაცია საქენერგოს დეპარტამენტს არ შეუწყვიტოს ელექტრომომარაგება დიდი დავალიანების მქონე სამეურნეო ობიექტებს, თუკი არსებობს დავალიანების განსაზღვრულ ვადაში გადახდის გარანტიები. საქენერგოს დეპარტამენტს უფლება აქვს მიიღოს ან უარყოს ეს რეკომენდაცია; მიღების შემთხვევაში ფორმდება ახალი კონტრაქტი, რომელშიც კონკრეტდება ზემოხსენებული გარანტიები და ვადები.

10. ელექტროენერგიაზე საწარმოო სფეროს ობიექტების დავა-
ლიანებების დასაფარად კომისი
ვალების დასაფარად თანხების
პროდუქციის, ნედლეულის, მასალ
დინერე აქციების გაყიდვა ან გაყ
წილის (აქციების, შენობების, მ
მა და ა. შ.

11. მუნიციპალური და რაიონ
ქტროენერგიის მიწოდების პრო
წესი, ხორციელდება შემდეგნაირა
გადაიხადა ერთ თვეში მის მიერ
ქტროენერგიის საერთო ღირებულ
მომდევნო თვეში იღებს საერთო
ცენტს.

12. კომისია, როგორც წესი, გან
ლებისა და გამანაწილებლების პრ
ბალი ხარისხის გამო, რომლებსაც
მარებული ელექტროენერგიის ღირ

1995 წლის 5 ოქტომბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულე

საქართველოს რესპუბლიკის ენერგეტიკული კომპლექსის ბუნებრივი უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

გასულ წლებში თურქმენეთიდან კლირინგის წესით ბუნებრივი აირის მოწოდებამ, რომლის ღირებულებაც ვერ იქნა დაფარული საჭირო ოდენობის პროდუქციით და ამასთან გადატვირთული პროდუქციის ღირებულების დიდი ნაწილის აუნაზღაურებლობამ წარმოშვა ურთულესი არგადახდების კრიზისი და კატასტროფულად გაზარდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ვალი თურქმენეთის რესპუბლიკის მიმართ. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ დღემდე ვერ შეიქმნა და ვერ ამოქმედდა მოხმარებული ბუნებრივი აირისა და მისგან წარმოებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების ეფექტიანი მექანიზმები. ამ მიზეზების გამო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 24 აპრილის № 134 ბრძანებულების „ეკონომიკური სტაბილიზაციის დამატებითი ღონისძიებათა შესახებ" შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა „საქართველოს რესპუბლიკასა და თურქმენეთს შორის 1995 წლის სამთავრობათაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური შეთანხმების რეალიზაციის შესახებ" 1995 წლის 15 ივლისის № 418 დადგენილებით უარი თქვა სახელმწიფო გარანტიებით თურქმენეთის რესპუბლიკიდან ბუნებრივი აირის მოწოდებაზე. ამის შედეგად ბუნებრივი აირის კომერციულ საწყისებზე შეძენის სისტემის უქონლობის პირობებში პრაქტიკულად შეწყდა საქართველოს რესპუბლიკაში ბუნებრივი აირის მოწოდება (გარდა სომხეთის რესპუბლიკისათვის მიწოდებული აირის ტრანზიტის ღირებულების სანაცვლოდ მიღებული ნატურალური ანაზღაურებისა).

ასეთ სიტუაციაში ვერ ხერხდება ბუნებრივი აირის მიღება. კიდევ უფრო გაუარესდა ენერგეტიკული კომპლექსის ფუნქციონირება, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ზამთრის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით.

ბუნებრივი აირის კომერციულ საწყისებზე შეძენის და საქართველოს რესპუბლიკაში მომხმარებლებისათვის მისი სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფის, მოხმარებული ბუნებრივი აირის და ელექტროენერგიის საფასურის გარანტირებული ამოღებისა და სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით:

1. შეიქმნას სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

თ. ზახილია — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარე);

ნ. ლეკიშვილი — ქალაქ თბილისის მერი;

ვ. პაპავა — საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი;

ა. სილაგაძე — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი;

დ. იაკობიძე — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი;

ზ. ზანკალიანი — საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების მინისტრი;

დ. ზუბიტაშვილი — დეპარტამენტ „საქენერგოს" თავმჯდომარე;

დ. ელიაშვილი — დეპარტამენტ „საქგაზის" თავმჯდომარე.

2. დაევალოს სამთავრობო კომისიას:

— ერთი კვირის ვადაში უზრუნველყოს არასამთავრობო, კომერციული სტრუქტურის შექმნა სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომლის დამფუძნებლებიც იქნებიან ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მსხვილი მომხმარებლები საკუთრების ფორმის
სტრუქტურები;

— დამფუძნებლებმა საწესდებ
გორც ფინანსური ისე მატერიალ

— აღნიშნულ ორგანიზაციას
საქართველოს რესპუბლიკაში ბუ
რანტიების გარეშე კომერციულ სა
ლიზაციის საქმიანობა, რისთვისაც
ბუნებრივი აირისა და ელექტროენ
რესებული ორგანიზაციების მიერ
როენერგიის წინასწარი ანაზღაურ
ფინანსურ და მატერიალურ რესურ

— დაინტერესებულ სამინისტრ
ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს
ბრივი აირით საქართველოს რესპ
ხმარებელთა შეუფერხებელი მომა
მეში.

3. საერთაშორისო საფინანსო
ფილი ფინანსური სახსრებიდან
სტრუქტურას ბუნებრივი აირის შ
მოუყოს 3 (სამი) მილიონი აშშ დ
სპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
პრივატიზებიდან ამონაგები სახსრ
ნობის მიზნობრივი კრედიტი. კრე
სამთავრობო კომისიის მიერ.

4. არასამთავრობო კომერციულ
ბუნებრივი აირის შესაძლო მომ
აწარმოოს ხელშეკრულების საფუ
ბის აუცილებელი პირობით, როგ
ალური რესურსებით (მათ შორის
ხოლო ადგილობრივ მომსახურე ო
შეღავათებით.

ბუნებრივი აირის შესაძენად და
გორც საკუთარი საწესდებო კაპი
და ბუნებრივი აირის მომხმარებ
რების მიზნით მობილიზებული ფ
სურსები (მათ შორის წარმოებუ

5. ნება დაერთოს არასამთავრ
ორგანიზაციას მოხმარებული ბ
მოებული ელექტროენერგიის საფ
იღოს უცილობელი წესით ამ ო
ანგარიშსწორების შემდეგ, როგორ
საშუალებებით (მათ შორის წარმ

6. საფინანსო ეკონომიკური ურთ
ერგოსა" და არასამთავრობო კომ
დარეგულირდეს მათ შორის გაფ
ფუძველზე.

7. სამთავრობო კომისიამ სისტემატურად მოახსენოს ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 4 ოქტომბერი.

ნტის ძე ყიფიანი
განსვენებულის ოჯახს.

ზა თარგამაძე

ტ ოქტომბერს, ტკივილებით და მწუ-
ხამი წელი გავიდა უშენოდ,
ყვარელო ზაზა. რა წარხოცავს შენი
ბის და მეგობრების გულში იმ საში-
ედიას, რომელიც დაკავშირებული იყო
ცემ შენს მკვლელობასთან. უსაზღ-
მობლებისათვის კი ცხოვრება ჯოჯო-
შენი სიცოცხლით, შენი ტკივილით
ენ. ვგლახ, რომ მოულოდნელად, მზა-
და მიგატოვებინეს საყვარელი ხალხი.
ერთი შვილი ლევანიკო უკვე შვიდი
და ახლა სჭირდება მამა — შენი თავი-
მწარებისათვის, შვილის დაობლებისა-
მეგობრების დამწუხრებისათვის შენს
მიუზღავს.
ვაკლიხარ, ჩვენო ზაზა.

მეგობრები.

ების დაცვის მართვის ნაციონალური
ებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა
ამირანის ძე გამყრელიძე
განსვენებულის ოჯახს.

ტრანსპორტის პროკურატურის
ადებს თამაზ ტუღუშს ქალიშვილის
ტუღუშის

პროკურატურის თანამშრომლები თა-
ტუღუშს ქალიშვილის
ტუღუშის

ნის პროკურატურის თანამშრომლე-
ბიან, რომ გარდაიცვალა
ასული ტუღუში
ავებულის ოჯახს.

ზა, ლევანი; შვილიშვილები ხანდრო,
ნოდარი, ნუკრი წერეთლები, რძლები
ზე შურა, ნაზიკო, ჯულიეტა ფოც-
ცოლისდები ნუნუ, ლილი ვვენეტ-
ლა მარგო, მძახალი ნელი ხუციშ-
ლები, დეიდაშვილები, მამიდაშვი-
რომ გარდაიცვალა
ბქის ძე წერეთელი

ჟამი დიდი არჩევნისა

პრეზიდენტობის კანდიდატები

8 სექტემბერს საქართველოს აგრარულმა პარტიამ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა ამ პარტიის თავმჯდომარე როინ ვასილის ძე ლიპარტელიანი

დოსიე

დაიბადა 1951 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაშში. 1974 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 1988 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და საქართველოს პატენტმცოდნეობის ინსტიტუტი, შემდეგ — საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი ჟურნალისტიკის სპეციალობით. მას დამთავრებული აქვს საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა, უკრაინის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურა, არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი სამეცნიერო შრომისა და წიგნის ავტორი.

1981 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მიწათმოქმედთა ასოციაციის პრეზიდენტად, 1987 წელს — საქართველოს გლეხთა პარტიის თავმჯდომარედ, 1990 წელს — სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის თავმჯდომარედ, ხოლო 1993 წელს (მრავალი პოლიტიკური პარტიის გაერთიანების შემდეგ) — საქართველოს აგრარული პარტიის თავმჯდომარედ. არის რესპუბლიკის აგრარულ-ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

როინ ლიპარტელიანი არჩეულია საქართველოს პარლამენტის წევრად, აგრარული კომისიის თავმჯდომარედ, პარლამენტის კოლეგიის წევრად, არის საარჩევნო ბლოკ „სამშობლოს" სპიკერი. იგი 1991 წელს დასახელებული იყო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატად. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

როინ ლიპარტელიანი:

ამ წუთისოფელში ყველამ უნდა იცხოვროს

პროგრამა

დღეს საქართველოს მოსახლეობა ეკონომიკურად და სულიერად უმძიმეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. მანკიერ პოლიტიკას შეეწირა ეკონომიკა, ხალხის კეთილდღეობა, მთლიანად მოიშალა სახალხო მეურნეობა, ტრანსპორტი. ენერგეტიკულმა შიმშილმა მოიცვა ცხოვრების ყველა სფერო, [illegible] ადამიანებიც.

ჩვენი ეკონომიკის აღორძინების, შექმნილი ვითარების გამოსავალი და გარანტი არის ის უდიდესი პოტენციალი, რაც საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობაში, მის ბუნებრივ რესურსებში, კლიმატურ პირობებსა და ქართველი კაცის უდიდეს ინტელექტუალურ შესაძლებლობებშია მოქცეული. ქვეყნის ხსნა უნდა განხორციელდეს სამი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებით. ესენია: ენერგეტიკა, აგროსამრეწველო კომპლექსი, ზნეობა [illegible]ება.

ჩვენი მრეწველობის აღდგენა პირდაპირ დამოკიდებულებაშია გაზისა და ელექტროენერგიის მოწოდებაზე. ამ ზამთარსვე უნდა შევძლოთ გაზის საჭირო რაოდენობით მიღება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ თბოელექტროსადგურები უზრუნველვყოთ საკუთარი საწვავით. ჰიდროელექტროსადგურების ათვისება საიმედო გზად გვესახება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უკვე აპრობირებული მცირე ჰესების მშენებლობის პრაქტიკა. საქართველოში „თეთრი ნახშირის" უდიდესი მარაგია. მის ასათვისებლად უნდა გამოვიყენოთ როგორც ადგილობრივი სახსრები, ისე უცხოური ინვესტიციები.

მიწის ნაჩქარევმა პრივატიზაციამ თითქმის სრულ განადგურებამდე მიიყვანა საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა. ჩვენი მიზანია მიწას დავუბრუნოთ ქართველი კაცი, რაც მისი დადებითი გენეტიკური თვისებების განვითარებას გამოიწვევს. უნდა დაჩქარდეს აგრარული რეფორმა, რასაც ხელს შეუწყობს მიწის კანონის მიღება. მიწა გლეხს მუდმივ მფლობელობაში უნდა გადაეცეს (ჯერჯერობით გაყიდვის უფლების გარეშე), ორგანიზებულად მომარაგდეს ის ტექნიკით, საწვავ-საცხებით მასალებით, შხამქიმიკატებით და სხვა საშუალებებით.

ბევრი რამ გავაკეთეთ საქართველოს მთიანეთში მიწის სათემო მფლობელობის აღდგენისათვის, მაგრამ ამ საქმეში კვლავ დარღვევებია, ხდება იქიდან მოსახლეობის მიგრაცია ბარად და საზღვარგარეთ. მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამოსასვლელად სასწრაფოდ უნდა განისაზღვროს მთიანეთის ძირითადი ზოლი როგორც კავკასიონის ქედის გასწვრივ, ისე საქართველოს მთიანეთში, მოსახლეობა განთავისუფლდეს გადასახადებისაგან, ამასთან, ბიუჯეტში ამ ზონის საჭიროებისათვის ცალკე თანხები გამოიყოს.

ჩემი აზრით, საქართველოს ფედერალური მოწყობა ნაადრევია. რაიონების ხელაღებით გაუქმება რაიონული ცენტრების ასევე ხელაღებით ნგრევას გამოიწვევს, რაც ისედაც დიდ ზარალს კიდევ უფრო გაზრდის. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ადამიანის უფლებების დაცვისათვის, მისი კეთილდღეობისათვის არა სიტყვით, არამედ საქმით. ვალდებული ვართ ხალხი გამოვკვებოთ, ჩავაცვათ ისე, როგორც თანამედროვე ცხოვრებას შეეფერება, ვაღიაროთ ჩვენი სიღარიბე და ვიბრძოლოთ მის წინააღმდეგ, რამეთუ ადამიანის სულის დეფორმაციას ყველაზე უფრო სიღარიბე, უსახსრობა იწვევს.

აუცილებლად მიმაჩნია ყველა ხალხის დაახლოება, დამეგობრება და ერთიანი ძალისხმევით ბრძოლა ბოროტებისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, რათა ამ წუთისოფელში ყველამ იცხოვროს და არა მხოლოდ იარსებოს (როგორც დღეს არის). ყველა რჯულის ადამიანმა უნდა შეიგნოს, რომ ჩვენ წუთისოფლის სტუმრები ვართ, ამიტომაც ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ, პატივი ვცეთ. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულს ძალუძს.

დიალოგი

— ბატონო როინ, მიზნები მართლაც კარგი გაქვთ, მაგრამ ხალხს იდეები კი არა, რეალური ცხოვრება უნდა. რისი იმედი გაქვთ, რომ პროგრამას განახორციელებთ?

— მე მხოლოდ ჩემი პროფესიონალიზმის, პატიოსნების, კომპეტენტურობის და ღმერთის იმედი მაქვს. იმედი მაქვს, რომ ამ უსაშინელეს პერიოდში ქვეყანას გამოვიყვან კრიზისული მდგომარეობიდან, ლატაკ, მშიერ ხალხს დავაპურებ, ვიხსნი დაღუპვისაგან.

— პრეზიდენტობის კანდიდატად რომ დაგასახელეს, არ გაგკვირვებიათ?

— სრულებითაც არა, მით უფრო, რომ 1991 წელსაც ვიყავი წამოყენებული პრეზიდენტობის კანდიდატად. მე მაშინაც დიდი რეიტინგი მქონდა, მაგრამ ჩემი კანდიდატურა მოვხსენი, რადგან ვფიქრობდი, რომ ქვეყნისთვის ასე აჯობებდა.

— ახლაც ხომ არ მოხსნით თქვენს კანდიდატურას?

— არავითარ შემთხვევაში! არის მუქარა, შანტაჟი, თავდასხმები ჩემზე და ოჯახის წევრებზე, მაგრამ ამას არ შევუშინდები. თუ მომკლეს, ვიცი ჩემი სული ეკუთვნის მაღალ ღმერთს, გული ჩემს ტანჯულ სამშობლოს, ხოლო სხეული საქართველოს ჯალათებისთვის მიმიგდია.

— ამბობენ, რომ თუ თქვენს კანდიდატურას მოხსნით, თურმე „ვოლვოს" გაჩუქებენ.

— ასევე მპირდება ერთი ჩემი მეგობარი პრეზიდენტობის კანდიდატიც — ოღონდ არჩევნები მოიგე და „მერსედესს" გაჩუქებო, მე, რა თქმა უნდა, „მერსედესი" მირჩევნია „ვოლვოს".

— ვისი პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენება გაგიკვირდებოდათ?

— ერთხელ პარლამენტის სხდომაზე განვაცხადე, რომ პრეზიდენტობის კანდიდატმა აუცილებლად უნდა მოაგროვოს 200 ათასზე მეტი მხარდამჭერის ხელმოწერა. პარლამენტმა ეს წინადადება არ მიიღო. ამიტომაც ძალიან მიკვირს, პრეზიდენტობის იმ კანდიდატების დასახელება, რომლებმაც 50 ათასი ხმაც კი ვერ მოაგროვეს. ეტყობა ეს ჩვენი, ქართველური ამბიციების ბრალია. მალე ეს სენი გაგვივლის და ასეთ კანდიდატებს აღარ დაასახელებენ. მაშინ ჩემთვის რომ დაეჯერებინათ, დღეს მხოლოდ 2-3 პრეზიდენტობის კანდიდატი გვეყოლებოდა. მომავალმა პარლამენტმა ეს უნდა გაითვალისწინოს.

— თქვენ პირადად ხმას რომელ პრეზიდენტობის კანდიდატს მისცემდით?

— რა თქმა უნდა, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. ეს არაერთხელ განმიცხადებია პრესით, რადიოთი და ტელევიზიით.

— თქვენი სათაყვანებელი პრეზიდენტი?

— რონალდ რეიგანი, სხვა პოლიტიკოსთა შორის ყველაზე მეტად ვაფასებ დავით აღმაშენებელს, იოსებ სტალინს, ედუარდ შევარდნაძეს, მერაბ კოსტავას.

— პრეზიდენტობის კანდიდატის ყველაზე დიდ ღირსებად რა მიგაჩნიათ?

— სიწმინდე და პატიოსნება. მე რომ ვიცოდე, პარლამენტში ან მთავრობაში ჩემზე პატიოსანი კაცი მოიძებნება, თავს მოვიკლავდი. ამით ბევრი რამ წავაგე, მაგრამ არ ვნანობ. მე ღმერთი მიყვარს და მინდა მას ჩემი სიწმინდით ვემსახურო. თუ პრეზიდენტი გავხდი, ყველა თანამდებობაზე მხოლოდ პატიოსან, უმწიკვლო ადამიანებს დავაწინაურებ.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენ ერთადერთი პარლამენტარი ბრძანდებით, რომელმაც შეთავსება მოიხსნა.

— დიახ, როცა ქვეყანა შიმშილობს, შენ არა გაქვს უფლება მეორე ხელფასი აიღო, შენც ისე უნდა იცხოვრო, როგორც შენი ხალხი ცხოვრობს.

— თუ პრეზიდენტი გახდით, მეორეჯერაც იყრით კენჭს?

— თუ ერთხელ ამირჩიეს, მეორეჯერ, რაც უნდა მეხვეწონ, არ დავთანხმდები. აუცილებელი არ არის დიდი თანამდებობა გქონდეს, უამისოდაც ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. ამის ბრწყინვალე მაგალითს ამერიკელი ექსპრეზიდენტები გვაძლევენ.

— თქვენი აზრით, როდის მოეღება ბოლო ტერორიზმს საქართველოში?

— როდესაც როინ ლიპარტელიანი გახდება პრეზიდენტი.

— როგორ ფიქრობთ, რამდენ წელიწადში გახდება საქართველო თანამედროვე განვითარებული ქვეყანა?

— მე და ჩემი თაობა თუ მოვედით ქვეყნის სათავეში, ეს 5 წელიწადში მოხდება, თუ არადა, ამ პროცესს 10-25 წელიწადი მაინც დასჭირდება.

— რას იტყოდით თქვენს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე?

— მე მათ ყველას ძალიან დიდ პატივს ვცემ და ჩემს მეგობრებად ვთვლი.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი.

ანალიზი

არჩევნების სტუმარი დინოზავრების პარკიდან

ცნობილია, რომ სხვების შეცდომებზე არავინ არაფერს სწავლობს. საკუთარი მძიმე შეცდომების იგნორირება სხვა ეჭვებს ბადებს. წესით იმუნიტეტი უნდა გვქონდეს გამომუშავებული მეოცე საუკუნის ორივე დამანგრეველი ექსტრემისტული იდეოლოგიის — მარქსიზმის და ნაციზმის მიმართ, ამდენი სისხლი და უბედურება რომ მოუტანა კაცობრიობას. ამ წერილში ერთ-ერთს შევეხები, რომელსაც ჩვენში სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ მიუღია დინოზავრის სტატუსი.

ნგრევისა და ომის წლებით დაღლილმა მოსახლეობამ პოლიტიკისადმი ინტერესი დაკარგა. საზოგადოებრიობის ქვეცნობიერებაში ჩარჩა ბევრი დრომოჭმული იდეა, რომელთა პროპაგანდა კომუნისტების ეპოქაში ძალიან აქტიურად ხდებოდა. ზოგიერთი ასეთი პრობლემა დღეს ტაბუდადებულია, ტაბუ კი არის „სირაქლემის პოლიტიკის" რეციდივი, რომელსაც ცუდის მეტი არაფერი მოუტანია. ერთ-ერთია ქვეყნის შიგნით ეროვნებათაშორისი ურთიერთობა. საუკუნეობით ჩამოყალიბებულის ნგრევა აქ ძალიან ადვილი აღმოჩნდა, თავიდან აშენება კი — ძალიან ძნელი, და ამიტომ ბევრი ვერაფერი გაკეთდა ქართველთა და ზოგიერთ აქ მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათათვის ხელოვნურად თავზე მოხვეული კონფლიქტების ტრაგიკული შედეგების გამოსასწორებლად. ბევრი ჩვენი უბედურების სათავე კი სწორედ აქედან — მრავალეროვანი სახელმწიფოსთვის მონოეთნიკური სამოსელის ჩაცმით იწყება.

თუ გვსურს ანალოგიურ პროვოკაციებზე აღარ წამოვეგოთ, კარგად უნდა გავერკვეთ იმ მიზეზებში, რომლებმაც ისინი გამოიწვია. ჯერ კიდევ 1990-91 წლებში შევეცადე ამეხსნა ეს მიზეზები, მაგრამ საზოგადოება ამისათვის მაშინ მზად არ აღმოჩნდა, ყველაზე მძიმე პერიოდი თურმე გასავლელი გვქონდა.

როდესაც ნაცისტურ გერმანიაზე ლაპარაკობენ, აღარავის ახსოვს, რომ გადატრიალება კაპიტანმა რემმა მოაწყო, რომ ნაციზმის იდეოლოგი იყო როზენბერგი, ყველაფერი ეს დღეს ერთ კაცს — ჰიტლერს მიეწერება. ასეა ჩვენთანაც — ყველა უბედურება ერთ კაცს მიეწერება და აღარავის ახსოვს, რომ მისი აღზევებისთვის მოსამზადებელ შავ სამუშაოს სხვები ასრულებდნენ. ქვეყანაში ნაციონალისტური ფსიქოზის დასათესად, ამ იდეოლოგიის პოსტკომუნისტური მახინჯი ფორმის ქართულ მიწაზე გადმოსანერგად გამსახურდიას იდეოლოგიური აპარატი საკმაოდ ეფექტიანად მუშაობდა.

ამ ადამიანების საარჩევნო ასპარეზზე კვლავ გამოჩენა მხოლოდ მათ უსაზღვრო თავხედობად უნდა იყოს აღქმული, ვინაიდან ეთნოკონფლიქტებში დაღვრილი სისხლი, უწინარეს ყოვლისა, კაცთმოძულე ნაციონალიზმის იდეოლოგთა კისერზეა, მიუხედავად მათი ეროვნული კუთვნილებისა!

ნაციონალიზმი, მართალია, არის მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის იდეოლოგია, მაგრამ მან, საბჭოთა ნიადაგზე გადმონერგილმა, ჩვენამდის განსაკუთრებული მახინჯი — ექსტრემისტული ფორმით მოაღწია. ყველასათვის ცნობილია, რომ „ინტერნაციონალიზმის" ლოზუნგების ფარდის მიღმა საბჭოთა კავშირში გეგმაზომიერად ინერგებოდა ეს იდეოლოგია კოლონიალურ ხალხთა გასათიშად და ურთიერთსიძულვილის დასათესად. ამ იდეამ შესანიშნავად „იმუშავა" პოსტკომუნისტურ პერიოდშიც: ნაცვლად იმისა, რომ ახალ სახელმწიფოებში დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოებები შეგვექმნა, ერთმანეთს დავერიეთ და შენების მაგივრად, ვანგრიეთ. მაგრამ, ჩანს, საკმარისად არ გვინგრევია და საარჩევნო კამპანიის პერიოდი, დესტრუქციონერთა აზრით, კარგი დროა დრომოჭმული ლოზუნგების გახსენებისთვის.

მეტ-ნაკლებად ვიცით, თუ რატომ დავმარცხდით ორ კონფლიქტში, თუმცა აქაც ბევრი ტაბუ და მითია, მაგრამ მათი განხილვა დღეს არ შედის ჩემს ფუნქციაში.

რატომ მოხდა ეს კონფლიქტები?

პოპულარული მითი გვეუბნება, რომ, ვთქვათ, სამხრეთელ ოსებთან კონფლიქტი ალან ჩოჩიევმა „მესამე ძალის" წაქეზებით გამოიწვია. მართალია, „მესამე ძალა" კონფლიქტის „მუსიკას" ნამდვილად დირიჟორობდა (მისგან სხვას რას უნდა ელოდო!), მაგრამ აქ უგულებელყოფილია ის ფაქტი, რომ „ტანგოს საცეკვაოდ ორი ადამიანია საჭირო". ასევეა ეროვნებათაშორისო ნიადაგზე წარმოქმნილ ყველა სხვა პოლიტიკურ კონფლიქტშიც — მარტო ოსი ან აფხაზი პროვოკატორები ვერაფერს გახდებოდნენ, თბილისში მათივე ჭკუის და მიზნების ხალხი, ასე ვთქვათ, მედლის მეორე მხარედ რომ არ მოგვევლინებოდა. (აი, ეს არის ერთ-ერთი მთავარი ტაბუ და მისი გაშიფვრა ზოგს არ მოეწონება, ვინაიდან თვითონ არის გასვრილი).

გადავათვალიეროთ ცოტა ხნის წინათ ყველაზე პრესტიჟული გაზეთის „ლიტერატურული საქართველოს" 1988-89 წლების კომპლექტები და დავრწმუნდებით, რომ მაშინ დათესილი სიძულვილის მოსავალი 1991-93 წლებში მოვიმკეთ! ხოლო ვინც წაიკითხავს ამავე გაზეთის 1989 წლის მაისის ნომრებს, თუ ცოტა ობიექტურობა მაინც გააჩნია, დაინახავს, რომ ყველაფრის ოსებისთვის გადაბრალება არის სიმართლის თავდაყირა დაყენების ცდა. ან გავიხსენოთ იგივე წლებში რამდენჯერ მოგვისმენია მოწოდებები ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური წმენდისაკენ: „ხუთ წელიწადში ქართველთა შემადგენლობა საქართველოში 95 პროცენტი უნდა იყოს!" და ვერ ვხვდებოდით, რომ ამ ციფრის მიღწევა მართლაც ადვილად შეიძლებოდა, ოღონდ... ძირძველი ქართული მიწების დაკარგვით!

იგივე ცხინვალის კონფლიქტი შეიძლება დიდი ხნის წინათ მშვიდობიანად გადაჭრილიყო. გავიხსენოთ, რომ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლიდან ორი თვეც არ იყო გასული, როდესაც იგი მოულოდნელად ცხინვალში ჩავიდა, სადაც მას ძალიან კარგად შეხვდნენ, მაგრამ მაშინ სწორედ ქართველებმა დაუშინეს ცეცხლი ზურგში (დღეს ეს უკვე აღარავის გაგვიკვირდება). კონფლიქტის გადაჭრა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ერთ კვირაში სისხლიანი პროვოკაცია მოეწყო და მთელი მსოფლიო დარწმუნებულია, რომ ეს ქართველების ნახელავია.

როგორი გზითაც უნდა აღვადგინოთ ჩვენი იურისდიქცია სოხუმსა თუ ცხინვალში, ერთია საერთო — არავითარ შემთხვევაში არ არის დასაშვები აფხაზებისა და სამხრეთელი ოსების ეთნიკური წმენდა.. ეს ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის კატასტროფა იქნებოდა. ამის ნებასაც, სხვათა შორის, არც არავინ მოგვცემს. მაგრამ თქვენ რომ ოსი ან აფხაზი იყოთ, მოინდომებდით ისეთ ქვეყანაში ცხოვრებას, სადაც პრეზიდენტობაზე კენჭს იყრის კანდიდატი, რომელიც საქართველოში პოლიტიკური ავტონომიების წინააღმდეგია? რასაკვირველია, ასეთ კანდიდატს დღევანდელ საქართველოში პრეზიდენტად გახდომის არავითარი შანსი არ გააჩნია, მაგრამ ვინ იცის, რამდენი ათასი ამომრჩეველი წამოეგება პრიმიტიულ პროპაგანდას, ვინაიდან ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პრობლემა ამდენი ხანია ტაბუდადებული?

მე პიროვნებებზე კი არ ვამახვილებ ყურადღებას, არამედ იმ ექსტრემისტულ, ნაციონალისტურ იდეოლოგიაზე, რომელსაც ცივილიზებულ ერში არსებობის უფლება ნამდვილად არა აქვს, ვინაიდან იგი გათვლილია მოქალაქეთა ყველაზე გაუნათლებელ და პოლიტიკურად მოუმზადებელ ნაწილზე. ასეთად კი საქართველოში ძირითადად შუა ხანს გადაცილებული, ცხოვრებისგან დაჩაგრული ქალები გვევლინება (ცხოვრებისაგან გატეხილი ხანშიშესული მამაკაცების ხმებზე სულ სხვა, ასევე გუშინწინდელი ძალა ნადირობს), მშობლიური მიწიდან დევნილებიც ასევე კარგი ნიადაგია ექსტრემისტული იდეებისთვის. მით უფრო ცინიკურია, რომ ასეთი პრიმიტიული იდეოლოგიის გამარტივებული ფორმით მიმწოდებლად ხშირად გვევლინებიან ინტელექტითა და განათლებით დაჯილდოებული პიროვნებები!

მას შემდეგ, რაც გადავიტანეთ, ავტონომიების გაუქმებაზე ყოველგვარი ლაპარაკი ხომ მხოლოდ დემაგოგიად ან, რაც უარესია, პროვოკაციად შეიძლება აღიქმებოდეს! ხომ ვნახეთ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმებამ რა უბედურებაც მოგვიტანა! ან 1991 წლის გაზაფხული გავიხსენოთ, როდესაც გამსახურდია შეეცადა აჭარის ავტონომიის გაუქმებას! ხოლო თუ პრეზიდენტობის ზოგიერთი მოსურნე აფხაზეთისთვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსსაც აღარ იმეტებს (აქამდე ეს კიტოვანის გარდა არავის უთქვამს), — მაშ რას გვთავაზობენ, „კულტურულ ავტონომიას"? არძინბა თავისი პროპაგანდისათვის ამაზე უკეთეს საჩუქარს სიზმარშიც ვერ ინატრებდა!

არ არსებობს პოლიტიკოსი, ვინც არ იცის, რომ დღეს საქართველოში სამი ავტონომიური ერთეულის არსებობას ალტერნატივა არა აქვს. კი, შორეულ წარსულში ეს ნამდვილად ასე არ იყო. მაგრამ დღეს ეს რეალობაა, ფაქტია და ყოველთვის დღევანდელობით და არა ისტორიკოსების მიერ აღწერილი წარსულით უნდა მივდიოდეთ მოლაპარაკებებზე, თორემ ისტორიკოსები მოწინააღმდეგე მხარესაც ჰყავს და მცირე ერების ისტორიკოსთა ფანტაზიას ხომ საზღვარი არ გააჩნია!

ჩვეულებრივად ამბობენ, რომ ჩხუბის შემდეგ ადვილია ალტერნატიულ გზებზე ლაპარაკი, მაგრამ ჩვენთან ესეც არ მომხდარა. აქ რაღაც ფატალიზმია — თითქოს სამხედრო კონფლიქტები გარდუვალი იყო, რაც არავითარ შემთხვევაში არ არის სწორი. არ გაგვაჩნია სეპარატიზმის, როგორც მოვლენის ანალიზის მცდელობა. ამას კი მივყევართ იქამდე, რომ გაუთვითცნობიერებლად ვაფიქსირებთ ეთნიკური წმენდის გარდუვალობას ორივე მხრიდან! არადა, არც ერთ მხარეს არ უხსენებია ტერმინი „კომპრომისი", ეს კი შეიძლება ყოფილიყო აფხაზებისა და სამხრეთელი ოსებისათვის მაქსიმალური ავტონომიის შეთავაზება, ბუნებრივია, მხოლოდ მათი ეთნიკური კონცენტრაციის რაიონებში. რასაკვირველია ეს არ დააკმაყოფილებდა არც ერთი მხარის მაქსიმალისტებს, მაგრამ რეალისტური პოლიტიკა მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს. ე. ი. აქ ლაპარაკია არა „ისტორიზმზე", რასაც ორივე მხარე როგორც უნდა, ისე შემოატრიალებს თავის სასარგებლოდ და ბოლოს მხოლოდ ომებამდე მიალთ, არამედ ადმინისტრაციაში რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის პროპორციულ ასახვასა და სრულ დეცენტრალიზებულ თვითმმართველობაზე.

კიდევ ერთი გამოგონილი პრობლემა, რომელზეც მავანთა და მავანთ არ სწყინდებათ დავა — რა დავარქვათ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ჩვენი იურისდიქციის აღდგენის შემდეგ?

საერთაშორისო პრაქტიკით მცირე ერს უფლება აქვს აირჩიოს თავისი ადმინისტრაციული ერთეულის სახელწოდება, ხოლო დიდმა ერმა ამ დროს გასაგები დიდსულოვნება უნდა გამოიჩინოს (რასაკვირველია, თუ ეს არ იჭრება სხვა ერის, ან ქვეყნის, ასე ვთქვათ, — „საავტორო უფლებებში", როგორც ეს იყო მაკედონიის შემთხვევაში). საბოლოო სიტყვა შეიძლება ეკუთვნოდეს ავტონომიური ერთეულის მოსახლეობის თავისუფლად გამოთქმულ ნებას ყველა დევნილის იქ დაბრუნების შემდეგ.

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ მომავალში ნამდვილად დემოკრატიულ სახელმწიფოში არავითარი ეთნიკური ავტონომიები საჭირო აღარ იქნება, დროთა განმავლობაში ისინი თავისით გაქრება, როგორც ანაქრონიზმი. მაგრამ ამას საბჭოური კომპლექსებისგან თავისუფალი რამდენიმე თაობის შეცვლა მაინც დასჭირდება და მხოლოდ ნებაყოფლობით თუ მოხდება.

დღეს შეგვიძლია გავაკეთოთ ისე, რომ ჩვენი ყოფილი ავტონომიების მოსახლეობა აქეთ გვეხვეწებოდეს საქართველოს მოქალაქეობა მოგვეცითო. ამისათვის სულ სამი რამ არის საჭირო: სტაბილური დემოკრატიული წყობა, სადაც მთავარი აქცენტი ადამიანის უფლებებზეა გაკეთებული, კრიმინოგენური სიტუაციის სრული განმუხტვა, და, რასაკვირველია, — რუსულ ფულზე უფრო მყარი ეროვნული ვალუტა.

იმედია ეს არჩევნები უკანასკნელი იქნება, როდესაც ასეთ პრობლემებზე გვიხდება ლაპარაკი და ოცდამეერთე საუკუნეში შევალთ მეცხრამეტე საუკუნის იდეოლოგიების — მარქსიზმისა და ნაციზმის, განსაკუთრებით კი მათი მეოცე საუკუნის საბჭოური მოდელების გარეშე, რომელთა ადგილი მხოლოდ დინოზავრების პარკშია!

რამაზ კლიმიაშვილი.

აქტუალური ინტერვიუ

როცა ადამიანი მღერის, მისი გული ყველასათვის გახსნილია

წარმოგიდგენთ „ამარტას"

ახლახან იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება „ამარტა" (გენერალური დირექტორი გია ბეჟლაშვილი). საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა ხელისშემწყობი ფონდი. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა „ამარტას" დირექტორატის წარმომადგენლებს — კინორეჟისორ ბენო ხოჯაევას, კომპოზიტორ იაკობ ბობოხიძეს და სთხოვა ეამბნათ ამ ახალი საზოგადოების საქმიანობის შესახებ.

აი, რა გვითხრეს მათ:

საბჭოთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ეროვნულ უმცირესობათა პრობლემა, გასაგები მიზეზების გამო, უკიდურესად გამწვავდა. საქართველომაც კი — ტოლერანტობით განთქმულმა ქვეყანამ, — ვერ შეძლო ამ პრობლემის უმტკივნეულოდ მოგვარება. შედეგად მივიღეთ სეპარატისტული რეჟიმები, ომები, ეთნოწმენდა, ეკონომიკური ნგრევა და პოლიტიკური არეულობა.

სამწუხაროა, მაგრამ დღეს, როცა ეროვნული პრობლემების სიმწვავე შესამჩნევად ჩაცხრა და ქვეყნის მდგომარეობა აშკარად გამოიკვეთა, თავი იჩინა მეორე საშიშმა უკიდურესობამ. ის ფაქტი, რომ ხუთმილიონიანი მოსახლეობიდან მილიონნახევარი ადამიანი, ანუ ყოველი მეოთხე-მეხუთე კაცი განზე დგას და არანაირად არ მონაწილეობს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დამაფიქრებელი ამბავია და არ შეიძლება ბუნებრივ მოვლენად ჩაითვალოს. თუ დროზე არ შევქმნით სათანადო პირობებს, არ ჩავაბამთ ამ ხალხს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუ ჩვენი აზროვნება არ აღიქვამს საკუთარ სოციალურ, ეროვნულ და კულტურულ ინტერესებს საერთო ეროვნული ინტერესების ორგანულ ნაწილად — საქართველოში ყოველთვის იქნება ეთნოკონფლიქტების და სეპარატიზმის საშიშროება.

ეროვნულ საკითხებში ემოციური შეფასება თითქმის მთლიანად განსაზღვრავს მოქმედების მოტივაციას და ვერავითარი პრაგმატული მოსაზრება ვერ გადაწონის მის ზეგავლენას. ურთიერთგაგებისათვის საჭირო ემოციური ფონის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ კულტურის და ხელოვნების მეშვეობით. ჩვენი ღრმა რწმენით, როცა ადამიანი მღერის, მისი გული ყველასათვის გახსნილია. აი ამ დებულებით იხელმძღვანელებს ახლადშექმნილი სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება „ამარტა" (ს პ ს. „ამარტა"). სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში" ამარტა ძვირფასი ქვების მძივია. „ამარტას" ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ეროვნული კულტურის განვითარებას და საქართველოში მცხოვრები ერების ისტორიის, ლიტერატურის და ხალხური შემოქმედების წარმოჩენის გზით შექმნას ქვეყანაში ურთიერთგაგების, მეგობრობისა და თანაცხოვრების ატმოსფერო.

„ამარტას" და მასთან შექმნილ საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა ხელისშემწყობ ფონდს განზრახული აქვს დააარსონ „საქართველოში მცხოვრებ ეროვნებათა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი", ცენტრის ქართველთა და ეროვნულ უმცირესობათა შემოქმედებითი ინტელიგენციის გაერთიანებული სათათბირო. სათათბირო რეგულარულად განიხილავს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, მოისმენს დიასპორების შეხედულებებს ამა თუ იმ პრობლემაზე, ერთობლივად მოიძიებს კონფლიქტური სიტუაციების დაძლევის მშვიდობიან გზებს. საჭირო შემთხვევაში მოიწვევს პარლამენტის და მთავრობის წევრებს, მეცნიერებს და ექსპერტებს, გამოიტანს ერთობლივად შემუშავებულ რეკომენდაციებს და პრესის საშუალებით გააცნობს ფართო საზოგადოებრიობას.

განზრახული გვაქვს შევქმნათ მუდმივად მოქმედი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსპოზიცია, სადაც თავმოყრილი იქნება ყოველნაირი მასალა დიასპორების წარმოშობის და საქართველოში მათი ჩამოსახლების შესახებ.

დაარსდება ფოლკლორული თეატრი-სტუდია, რომლის სცენაზე ნიადაგ დაიდგმება თეატრალიზებული წარმოდგენები. თბილისელებს და ქალაქის სტუმრებს საშუალება მიეცემათ, რომ გაეცნონ ამა თუ იმ ხალხის თვითმყოფად ფოლკლორს, სიმღერებს, ცეკვებს, პოეზიას, იუმორს, ძველ თქმულებებს, ყოფით კულტურას და ხალხური შემოქმედების სხვა ნიმუშებს. „ამარტის" საქმიანობა არ შემოიფარგლება კულტურული ცენტრის შექმნით. განზრახული გვაქვს თხოვნით მივმართოთ ხელისუფლებას „ერთგულების" დღის დაწესების შესახებ, რომელიც გაიმართება ყოველი წლის მესამე კვირას და უშუალოდ დაუკავშირდება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. განზრახული გვაქვს ამიერკავკასიის ხალხთა ფოლკლორული ფესტივალის გამართვაც საქართველოში.

შავი ზღვის აუზის ქვეყნების ხალხთა საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალის იდეა საყოველთაო მოწონებით სარგებლობს, რადგან მასში მონაწილე ქვეყნებს მდიდარი და მრავალფეროვანი ფოლკლორი აქვთ. ფესტივალი გაიმართება ბათუმში და ვიმედოვნებთ ტრადიციულიც გახდება.

ბათუმის ფესტივალთან შედარებით პოლიფონიური სიმღერების საერთაშორისო ფესტივალს კამერული ხასიათი ექნება. პოლიფონიური სიმღერები ხომ ხალხური შემოქმედების გვირგვინია. პოლიფონიური სიმღერების ფესტივალი, ეჭვგარეშეა, დიდ გამოხმაურებას ჰპოვებს მსოფლიო მუსიკალურ საზოგადოებაში.

1995 წლის 11 ოქტომბერს შედგა თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სესია, რომლის შედეგების მიხედვით განისაზღვრა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი		96 თეთრი
ავსტრიული შილინგი		13 თეთრი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	2 ლარი და	02 თეთრი
10 ბელგიური ფრანკი		44 თეთრი
გერმანული მარკა		90 თეთრი
ჰოლანდიური გულდენი		81 თეთრი
დანიური კრონი		23 თეთრი
1000 იტალიური ლირა		79 თეთრი
კანადური დოლარი		95 თეთრი
ნორვეგიული კრონი		21 თეთრი
აშშ დოლარი	1 ლარი და	28 თეთრი
ფინური მარკა		30 თეთრი
ფრანგული ფრანკი		26 თეთრი
შვედური კრონი		18 თეთრი
შვეიცარული ფრანკი	1 ლარი და	12 თეთრი
10 იაპონური იენი		13 თეთრი
ეკიუ	1 ლარი და	67 თეთრი
10 ესპანური პესეტა		10 თეთრი
100 ბერძნული დრაქმა		56 თეთრი
ირლანდიური გირვანქა	2 ლარი და	07 თეთრი
10 ისლანდიური კრონი		20 თეთრი
ქუვეითური დინარი	4 ლარი და	28 თეთრი
1000 ლიბანური გირვანქა		80 თეთრი
100 პორტუგალიური ესკუდო		86 თეთრი
სინგაპურული დოლარი		90 თეთრი
10 000 თურქული ლირა		26 თეთრი
ეგვიპტური გირვანქა		38 თეთრი
1000 რუსული რუბლი		25 თეთრი
ლიტვური ლიტი		28 თეთრი
ლატვიური ლატი	2 ლარი და	09 თეთრი
10 ესტონური კრონი		99 თეთრი
100 000 უკრაინული კარბოვანეცი		64 თეთრი
10 ყაზახეთის ტენგე		18 თეთრი
მოლდავეთის ლეი		25 თეთრი
ყირგიზეთის სომი		11 თეთრი
10 000 ბელორუსიის მანეთი		98 თეთრი
10 უზბეკეთის სუმი		33 თეთრი
1000 აზერბაიჯანული მანათი		26 თეთრი
100 სომხური დრამი		28 თეთრი

[illegible] ეროვნული ბანკის [illegible]

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

აცხადებს კონკურსს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის **არნოლდ ჩიქობავას** სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებას: **რუსთაველის პროსპექტი № 52, ოთახი 424, ტელ. 99-56-21.**

ელექტორატი

დღეს პოლიტიკა არაპროფესიონალთა პროფესიად იქცა

(დასასრული)

...ებული და აყვავებული. ვფიქრობ, ამ სურვილების განხორციელების მთავარი პოლიტიკური, პროფესიული დონე ვერ გა...ლდება მსოფლიო გლობალურ პროცესებში გზების გასაკვალავად. მაგალითად, გამსახურდიას და მისი მიმდევრების უბედურება ის იყო, რომ არ ჰქონდათ გაცნობიერებული საკუთარი ქვეყნის ...ობა, მისი ადგილი და როლი განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ვერ მიაგნეს მისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალურ ვარიანტს, ვერ გამოიმუშავეს ქვეყნის გადარჩენის ისეთი კონცეფცია, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ამ ეტაპზე მისი განვითარების ისტორიულ თავისებურებებს ახალ მსოფლიო წესრიგში, ვერ მოუნახეს პოლიტიკური გასაღები ქართულ ხასიათს, ვერ გაერკვნენ პოლიტიკურ ლაბირინთებში.

ეროვნული მოძრაობის ამ რადიკალური მიმართულების საქმიანობა გამომდინარეობდა ამოჩემებული რევოლუციური ლოზუნგიდან, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობაზე გადასვლა მხოლოდ ნგრევის გზით არის შესაძლებელი. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ რევოლუციური გულმოდგინებით ნანგრევებად ვაქციეთ 70 წლის მანძილზე აწყობილი სახელმწიფო მთელი თავისი სტრუქტურებით, რომლებიც კარგი იყო თუ ცუდი, მაინც გვქონდა. ნგრევის ანალოგიური პარადიგმა წარმატებით იქნა რეალიზებული ეკონომიკაშიც: იმის მაგივრად, რომ თანდათან შეცვლილიყო არსებული მექანიზმები (როგორც მაგალითად, ბალტიის ქვეყნებში), მთელი სისტემა მოვსპეთ. და ახლა ედუარდ შევარდნაძეს ვუბრაზდებით, რატომ არის დანგრეული ქვეყანა, რატომ არის [illegible] ცხოვრება.

ზოგს აღიზიანებს ედუარდ შევარდნაძის, როგორც დიდი პოლიტიკოსისა ფენომენზე ლაპარაკი, მაგრამ ჩემთვის გარდა საკუთარი არგუმენტირებული აზრისა, მსოფლიო მასშტაბის პროფესიონალი პოლიტიკოსების შეფასება უფრო მისაღებია, ვიდრე გაბოროტებული ოპონენტებისა.

ედუარდ შევარდნაძის სასარგებლო უამრავ ფაქტორთაგან მხოლოდ ორზე შევჩერდები.

პირველი მისი რეფორმატორული ბუნებაა. წარსული მოღვაწეობითაც და დღეს საქართველოში მიმდინარე რეფორმებითაც ეს ნათელია. დასავლეთის ექსპერტების აზრით, საქართველო, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის თუმცა ყველაზე გვიან შეუდგა რეფორმების განხორციელებას (ცნობილი მიზეზების გამო), მაგრამ ტემპითაც და შინაარსითაც უკვე ბევრად გაუსწრო.

მეორე, პოლიტიკური პროგნოზირების უნარია, რაც არასასურველი მოვლენების თავიდან აცილებისა და დასახული მიზნისაკენ ოპტიმალური გზით სვლის საწინდარია. ჩვენმა რეალობამ ეს არაერთგზის დაადასტურა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ელექტორატი საპრეზიდენტო არჩევნებში უპირატესობას სწორედ ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურას მიანიჭებს. მის საფუძვლიან გამარჯვებებში ეჭვი დღეს არავის ეპარება.

მეტიც, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ქართველთაგან, როგორც პოლიტიკოსმა პირველმა მან მიიღოს ნობელის პრემია.

ინფორმაცია

აეროპორტი გადარჩა!

თბილისში ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი ღელვა უნივერსიტეტის მეორე კორპუსში მომხდარი ხანძრის გამო, რომ მეორე დღეს დედაქალაქი მოიცვა ახალმა შემზარავმა ამბავმა — აეროპორტი იწვისო.

ადგილზე მისულთ ცეცხლი უკვე ლიკვიდირებული დაგვხვდა.

— საგანგაშო არაფერია, — თქვა ბატონმა ჭუმბერმა, — საბედნიეროდ, ცეცხლი გაუჩნდა არა თბილისის აეროპორტს, არამედ იქვე, ახლოს მდებარე მშენებარე ობიექტს. როგორც მოსახლეობა უკვე ინფორმირებულია, უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებთან ერთობლივად მიმდინარეობს ჩვენი აეროპორტის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. გასაგებია, რომ ალელვება ბუნებრივი იყო: გუშინ — უნივერსიტეტი, დღეს — აეროპორტი... მაგრამ გადავრჩით მეხანძრეთა პროფესიონალიზმისა და თავდადების შედეგად. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის თანამშრომლებმა არ მისცეს ხანძარს საშუალება სერიოზული ზიანი მიეყენებინა სამშენებლო ობიექტისათვის, რომლის სახურავზე გუდრონს წაეკიდა ცეცხლი.

გულიკო მარკოზაშვილი.

შეეცადა ვენების გადაჭრას

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 30 სექტემბერს, პროფილაქტიკურ-ოპერატიული ღონისძიების დროს თბილისში, სამგორის რაიონის ტერიტორიაზე შემოწმების მიზნით გააჩერეს „ვაზ-21011“-მარკის ავტომანქანა.

პოლიციელთა შეკითხვაზე — ჰქონდათ თუ არა კანონსაწინააღმდეგო საგნები, მანქანაში მყოფთაგან ერთ-ერთმა ქურთუკის ჯიბიდან ამოიღო ოთხი ამპულა მორფინი, თორმეტი აბი კოდეინი და საინექციო საშუალება, რის შემდეგაც წარმოადგინა პარლამენტის წევრის მოწმობა. იგი აღმოჩნდა პარლამენტის წევრი თეიმურაზ ცორცოლიანი. აღნიშნული პიროვნება დანარჩენ ორ პირთან ერთად სამგორის რაიონის პოლიციაში მიიყვანეს.

იმავე დღეს გენერალური პროკურორის დადგენილებით აღნიშნულ ფაქტზე აღძრა სისხლის სამართლის საქმე. თ. ცორცოლიანის ბინაში მოეწყო ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოიღეს 2 ცალი „აკ“-ის სისტემის ავტომატი ორი მჭიდითა და 60 ვაზნით, პისტოლეტი „კ-88“ ერთი მჭიდითა და თვრამეტი საბრძოლო ვაზნით, „ტტ“ სისტემის პისტოლეტის ოცდაექვსი ვაზნა, აღნიშნულ იარაღსა და ვაზნებზე თ. ცორცოლიანს არავითარი ნებართვა არ ჰქონდა.

ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით თ. ცორცოლიანი ნარკოტიკული ნივთიერებების არასამედიცინო დანიშნულებით მომხმარებელია.

შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე თბილისის პოლიციის სამმართველოს წინასწარი პატიმრობის საკანში ა. წ. 10 ოქტომბერს, თ. ცორცოლიანს მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის თანდასწრებით ბრალი წარედგინა დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა, შენახვა, გადაზიდვა გასაღების მიზნის გარეშე) — და 238-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის, მათ შორის, ავტომატურის, საბრძოლო მასალების უკანონოდ შენახვა, შეძენა, ტარება).

ბრალის წარდგენის შემდეგ თ. ცორცოლიანმა ითხოვა ტუალეტში გასვლა და იქ პლასტმასის სასაპნის ნატეხით ხელზე ვენების დაზიანება სცადა. თ. ცორცოლიანს აღმოუჩინეს აუცილებელი სასწრაფო დახმარება. მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

თ. ცორცოლიანის განცხადებით, მის მიმართ რაიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედება არ ყოფილა.

დაკავებული ცორცოლიანის მიმართ გაცემულია სანქცია და იგი პატიმრობაშია აყვანილი.

გამოძიება ადრე ჩადენილი დანაშაულობებისათვის თ. ცორცოლიანს კიდევ ორ საქმეზე წარუდგენს ბრალს — პოლიციელის დაჭრისთვის და სახელმწიფო ბანკიდან გატანილი დიდი ოდენობით სესხის მითვისებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრი.

არდავიწყება

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატმა და ყაზბეგის სამხარეო მუზეუმის დირექტორმა მოაწყვეს შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორის ვარლამ შადურის გახსენებისადმი მიძღვნილი ღონისძიება. იგი ყაზბეგში შედგა მისი გარდაცვალების მეათე წლისთავზე.

კაცი კაცთა შორის

ამონარიდი გენერალ ვარლამ შადურის ბიოგრაფიიდან:

დაიბადა 1918 წელს დაბა ყაზბეგში. სწავლობდა ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში — ჯერ ყაზახეთში, შემდეგ საქართველოს უშიშროების კომიტეტში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1961 წლიდან 1991 წლამდე — პენსიაზე გასვლამდე იყო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე. 1965 წელს შინაგანი სამსახურის გენერლის წოდება მიიღო. დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით.

ღონისძიება ჩატარდა ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის სამხარეო მუზეუმის შენობაში, რასაც აქტიურად შეუწყო ხელი დირექტორმა, ბატონმა დავით ხულელიძემ; საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა ამ დღის მოწვეულ სტუმრებს საჩუქრად გადასცა ვარლამ შადურის წიგნი „ცხოვრება სოფლის საკვირველია...“

ვარლამ შადურის ხსოვნისადმი შეხვედრა გახსნა ბატონმა მამია დარჩიამ.

ბატონმა ზურაბ ფორაქიშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა ვარლამ შადურის უდიდესი ღირსება, მორალი, სიმართლის სიყვარული, ერთგულება სიტყვისა და საქმისა, — „იცხოვრა კაცურად და დატოვა დაუვიწყარი სახელი“.

დიდი სითბოთი გაიხსენა გენერალი გადამდგარმა პოლკოვნიკმა, შინაგან სამსახურში 40 წლის სტაჟის მქონე ბატონმა ნიკოლოზ ბარნოვმა, ხოლო ოზურგეთის პოლიციის უფროსმა, ვიქტორ გობრონიძემ, ვარლამ შადურის აღზრდილმა, გულახდილად თქვა: „ყოველთვის აჩრდილივით თან დამდევს ჩემი აღმზრდელის სახე და ვცდილობ, ისეთი ნაბიჯი არ გადავდგა, რაც ოდნავ მაინც ჩრდილს მიაყენებს მის სახელს“. პოლკოვნიკმა ჯემალ ჯიქურაულმა, მცხეთა-თიანეთის მხარის პოლიციის უფროსმა, გაიხსენა ზოგიერთი ოპერაცია, რომლებშიც ნათლად წარმოჩნდა გენერალ ვარლამ შადურის ზებუნებრივი ვაჟკაცობა და თავდადება კრიტიკულ მომენტებშიც კი.

თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა დავით გეგეშიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ დღეს გარკვეული მიზეზების გამო, ადვილი მოსაპოვებელია გენერლობა, მაგრამ სწორედ ვარლამივით კაცურად ცხოვრება გამხდარა ძნელი. ვარლამ შადური იყო ნამდვილი მთის შვილი

ღონისძიებას ესწრებოდა გენერლის ქალიშვილი ნინო შადური მეუღლესთან, ბატონ გიორგი ბაბუნაშვილთან ერთად.

ყაზბეგის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარემ, ხევისბერმა არჩილ შადურმა ხევის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა სტუმრებს მთის ამ მართლაც ღირსეული შვილის ასე ტკბილად გახსენებისათვის.

ვარლამ შადურის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეხვედრის ბოლოს ბატონმა მამია დარჩიამ იქ დამსწრეთ აუწყა შინაგან საქმეთა მინისტრის, შოთა კვირაიასა და სხვა ხელმძღვანელი პირების იმ დიდი თანადგომის შესახებ, რომელიც მათ გასწიეს საყვარელი მასწავლებლის, გენერალ ვარლამ შადურის ხსოვნის უკვდავსაყოფად. ყაზბეგის ერთ-ერთ ქუჩას დაერქვა მისი სახელი.

მინაწერი: დადებითი ემოციებით დამუხტულებმა და მზით გაცისკროვნებული მყინვარით მოჯადოებულებმა დავტოვეთ ყაზბეგი. შევყურებდით მწვერვალს, ცად ამაღლებულს, და ვრწმუნდებოდით, რომ აქ მხოლოდ ვაჟკაცურად შეიძლება დაიბადოს კაცი.

გენერალი ვარლამ შადური, კაცი კაცთა შორის, ვაჟკაცი ვაჟკაცთა შორის, ამაყი ხევის ღირსეული შვილი — ასეთად დარჩება მისი სახელი თაობათა ხსოვნაში.

ნონა ნინიაშვილი,
ირაკლი ხომერიკი.

სურათზე: ვ. შადური შვილიშვილთან ერთად.

ახალგაზრდებს მეტი მოეთხოვებათ

ევროპის ფეხბურთელთა ახალგაზრდული (ოლიმპიური) ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი საქართველოს ნაკრებმა, სამწუხაროდ, წარუმატებლად წარმართა და ჯგუფურ ტურნირში, ალბათ, ბოლო ადგილს დაიკავებს.

მდგომარეობის გამოსწორება ჩვენს გუნდს ბულგარელ თანატოლებთან გამარჯვების შემთხვევაში შეეძლო, მაგრამ ამჯერადაც უსუსური შთაბეჭდილება დატოვა და კვლავ დამარცხდა — უკვე ზედიზედ მეექვსედ (!).

ერთი ფაქტი, ვფიქრობთ, ბევრ რამეზე მეტყველებს: საკუთარ მოედანზე გამართულ მატჩში მეტოქის კარისაკენ ერთადერთი დარტყმა მასპინძლებმა მხოლოდ ბოლო წუთზე მოახერხეს, რომელსაც მამია ჯიქიას პრესტიჟის გოლი მოჰყვა — 1:2. აღარაფერს ვამბობთ ცალკეულ რგოლებს შორის მოშლილ კავშირებზე, პოზიციურ შეცდომებზე, უხეშობაზე, დაბალ ინდივიდუალურ ოსტატობაზე. ერთადერთი ნათელი წერტილი იმ დღეს მარჯვენა ნახევარმცველი გიზო ჯელაძე („შევარდენი“) იყო, თუმცა სასურველი შედეგის მისაღწევად მისი აქტიურობა საკმარისი არ აღმოჩნდა, მით უმეტეს, ისეთ შეთამაშებულ კოლექტივთან, როგორიც ჯგუფის ლიდერი ბულგარეთის ნაკრებია.

ქართველ ოლიმპიელთა უფერული ასპარეზობა მრავალ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზს შეიძლება დავაბრალოთ, თუნდაც გაუთავებელ ტრავმებსა და, აქედან გამომდინარე, შემადგენლობის ხშირ ცვლას, გამოუცდელობას (ასეთი მაღალი რანგის ტურნირში ხომ ჩვენები დებიუტანტები არიან), მაგრამ... გამოცდილი მწვრთნელების შოთა ჰეიშვილისა და ელგუჯა გუგუშვილის აღსაზრდელთაგან, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მეტს ველოდით.

14 ნოემბერს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ჯგუფური ტურნირის დასკვნით შეხვედრას კიშინიოვში მოლდოვას გუნდთან გამართავს.

გია პლატონიშვილი.

●

გუშინ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა 77:66 დაამარცხა ბოსნია-ჰერცოგოვინის ნაკრები.

●

წუხელ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ბულგარეთის ნაკრებს მოუგო — 2:1.

ამინდი

12 ოქტომბერს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, იქროლებს წამში 7-12 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი. ტემპერატურა ბარში — ღამით 8-13, დღისით 13-18, მთაში — ღამით 5-10, დღისით 11-16, მაღალ მთაში — ღამით 2-7, დღისით — 9-14 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ზოგან წვიმა იქნება ელჭექით, იქროლებს წამში 9-14, ალაგ-ალაგ 17-22 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 6-11, დღისით 15-20, მთაში — ღამით 3-8, დღისით 12-17, მაღალ მთაში — ღამით 1-6, დღისით 8-13 გრადუსი სითბო.

კავკასიონისა და თრიალეთის საძოვრებზე — ზოგან წვიმა, იქროლებს წამში 9-14, მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — ღამით 2-7, დღისით 11-16, მაღალ მთაში — ღამით 0-5, დღისით 7-12 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, იქროლებს წამში 9-14, ქალაქის გარეუბნებში ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — ღამით 9-11, დღისით 18-20 გრადუსი სითბო.

ხსოვნა

გიორგი აბაშიძე

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა გამოჩენილი დასტაქარი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი გრიგოლის ძე აბაშიძე**, რომელიც 70 წელი უანგაროდ ემსახურებოდა ქართველი ხალხის ჯანმრთელობის დაცვას.

გ. აბაშიძე დაიბადა 1909 წელს ქ. ჭიათურაში. 1931 წელს დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. იმავე წელს აკადემიკოს გრიგოლ მუხაძის შუამდგომლობით ჩარიცხეს კლინიკურ ორდინატურაში, შემდგომ კი ასპირანტურაში, 1935 წელს იგი მიავლინეს ქ. მოსკოვში სკლიფასოვსკის ინსტიტუტში, პროფესორ იუდინთან, ხოლო ერთი წლის შემდეგ, პირველად საქართველოში აკეთებს გულის ოპერაციას, რომლის შესახებაც დაიბეჭდა პრესაში, როგორც იშვიათ მოვლენაზე.

1938 წელს კვლავ ბრუნდება აკადემიკოს გრ. მუხაძესთან ასისტენტად, ამ პერიოდში გიორგი აბაშიძის მიერ გაკეთებული ოპერაციების მთელი სერიები მედიცინის მუშაკთა ყურადღებას და მოწონებას იმსახურებდა. იმავე წელს, მან პირველმა საქართველოში გააკეთა კუჭის რეზექცია.

1938 წელს იგი მოხალისედ მიდის შორეულ აღმოსავლეთში. ხალხინ-გოლის, შემდგომში კი ფინეთის ომში.

1940 წელს გ. აბაშიძე კვლავ საქართველოშია, მაგრამ მალე მიემგზავრება მოსკოვს პროფესორ სტოიკოსთან ფილტვის ქირურგიაში დახელოვნების მიზნით.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, იგი ერთ-ერთი პირველი დგება სამშობლოს დამცველთა რიგებში და ინიშნება ქერჩის ნახევარკუნძულის სამედიცინო-სანიტარული ბატალიონის უფროსად. ერთდროულად ითავსებს დივიზიის სანიტარული სამსახურის უფროსის მოვალეობასა და 51 არმიის უფროსი ქირურგის თანამდებობას. მისი დაუდგრომელი ბუნება არ იფარგლებოდა ორგანიზატორული მუშაობით, იგი თვით უმძიმეს საველე პირობებში აკეთებდა ათეულობით ოპერაციას. აქვე მიიღო მძიმე ჭრილობა და კონტუზია, რის გამოც, მისცეს მეორე ჯგუფის ინვალიდობა. დასტაქარს ამით არ უსარგებლია, იგი კვლავ მწყობრშია და საველე ჰოსპიტლის უფროსად გვევლინება.

გ. აბაშიძე 1946 წელს ინიშნება საქართველოს პროფკავშირების ჰოსპიტლების სამმართველოს უფროსად და მთავარ ქირურგად, მალე კი რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმად, სადაც აკეთებს იმ დროისათვის მრავალ უნიკალურ ოპერაციას (კუჭის ტოტალური რეზექცია, დუოდენუმის საყლაპავთან შეერთებას და სხვ.).

1948 წელს იგი იცავს საკანდიდატო, ხოლო 1957 წელს სადოქტორო დისერტაციებს. ამ დროს გ. აბაშიძე მოღვაწეობს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში ფთიზიოქირურგიაში, სადაც აყალიბებს პულმონოლოგიას, როგორც მეცნიერებას და საქართველოში პირველი აკეთებს პულმონექტომიას. მისეული ოპერაციები შესულია ნ. მ. ამოსოვის, მ. ნ. ახუტინის და სხვათა სახელმძღვანელოებში. ავტორია ასამდე სამეცნიერო ნაშრომისა და 4 მონოგრაფიისა, დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით.

გ. აბაშიძე იყო დიდად თბილი და მოსიყვარულე პიროვნება წავიდა ჩვენგან ხალხისა და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი და თან წაიღო ყველას გულისტკივილი, ვინც მას იცნობდა.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, თბილისის სამედიცინო აკადემია, თერაპია-პულმონოლოგიის კათედრა, საქართველოს ქირურგთა საზოგადოება, საქართველოს პულმონოლოგიური საზოგადოება.

ხსოვნა

კოტე ბურული

გარდაიცვალა ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე **კოტე კალისტრატეს ძე ბურული.**

დაიბადა 1923 წელს, ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საქარაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო რიგით კოლმეურნედ. 1942 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ შრომითი საქმიანობა განაგრძო ჯერ ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში, ხოლო ქალაქ თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საელმავლო დეპოს მემანქანის თანაშემწედ, უფროს ოსტატად, საამქროს უფროსად, ქარხნის მექანიზაციის განყოფილების უფროსად. 1958-62 წლებში მუშაობდა ქ. ზესტაფონის პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნად, ხოლო შემდეგ, ამავე რაიონის სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. 1962 წლიდან მუშაობა დაიწყო ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის ექსპერიმენტალური საამქროს უფროსის თანამდებობაზე. იყო ამავე ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

პროფკავშირულ საქმიანობას ეწევა 1963 წლიდან, ჯერ საქართველოს პროფესიულ კავშირებში განყოფილების უფროსად, ხოლო შემდეგ საქართველოს ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ, 1979 წლიდან მუშაობს საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ, სადაც იმუშავა პენსიაზე გასვლამდე — 12 წელიწადი.

ყველგან, სადაც კი უმუშავნია ბატონ კოტეს, იგი გამოირჩეოდა საქმის უსაზღვრო ერთგულებით, მაღალი პროფესიონალიზმით, ორგანიზატორული ნიჭით, საკითხებისადმი პრინციპული დამოკიდებულებითა და პირდაპირობით, მომთხოვნელობით, საკუთარი თავისა და ხელქვეითებისადმი. იგი იყო თავმდაბალი, გულისხმიერი პიროვნება, მოსიყვარულე მეუღლე, მამა, მეგობარი.

შესანიშნავი მოქალაქის, ბატონ კოტე ბურულის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება კოლეგებისა და მეგობრების გულშ

„საქნავთობის“ დეპარტამენტი, სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზი“, საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო.

მელორ ბარათელი

მოულოდნელად გარდაიცვალა ქალაქ თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს ადმინისტრაციული და სააღსრულებო წარმოების მოსამართლე **მელორ (ჯიმი) ლუკას ძე ბარათელი.**

ჯიმი ბარათელმა სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო შრომითი საქმიანობა და მიუხედავად იმისა, რომ ხანმოკლე გამოდგა მისი სიცოცხლე, მაინც სანიმუშოდ განვლო ცხოვრება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ჯერ იურისკონსულტად მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებაში და ყველგან მაღალპროფესიულად ასრულებდა თავის მოვალეობას, ხოლო 1981 წლიდან იყო საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსი კონსულტანტი, ჯიმი ბარათელმა აქაც გამოიჩინა თავი და სამინისტროს აპარატში დააწინაურეს ჯერ წამყვან კონსულტანტად, ხოლო შემდეგ განყოფილების უფროსად, სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 1992 წელს ჯიმი ბარათელი დაინიშნა ქალაქ თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს ადმინისტრაციული და სააღსრულებო წარმოების მოსამართლედ, სადაც სიცოცხლის ბოლო წუთებამდე დაჰყო...

მძიმე და აუნაზღაურებელია ის დანაკლისი, რაც ჯიმი ბარათელის გარდაცვალებამ გამოიწვია. მისი ოჯახის წევრები, ახლობლები, მეგობრები და კოლეგები, ყველანი, ვისთანაც კი რაიმე ურთიერთობა ჰქონია მას, არასოდეს დაივიწყებენ მარად ახალგაზრდად დარჩენილ, ენერგიით აღსავსე კაცს და ყოველთვის სიყვარულით მოიგონებენ.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო; თბილისის საქალაქო სასამართლო; ქალაქ თბილისის გლდანის რაიონის სასამართლო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია იუწყება ყოფილი თანამშრომლის, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის

ვლადიმერ ივანეს ძე შავგულიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო თანაგრძნობას უცხადებს პროფესორ ამირან გამყრელიძეს შვილის

გრიგოლ (გიგი) გამყრელიძის

გარდაცვალების გამო.

ქალაქ თბილისის პროკურატურის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპნენ

დოდო ტულუში
და
გიგი გამყრელიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულთა ოჯახებს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თბილისის დიდუბის რაიონის პროკურორს, ბატონ თამაზ ტულუშს ქალიშვილის

დოდო ტულუშის

გარდაცვალების გამო.

აგრომრეწვბანკის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ საავტომობილო კატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპნენ

გიგი გამყრელიძე
და
დოდო ტულუში

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულთა ოჯახებს.

დათო კალმახელიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

დოდო თამაზის ასული ტულუში

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა განათლების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯის ყოფილი დირექტორი, რესპუბლიკის საშუალო სპეციალური სასწავლებლების დირექტორთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე

ნოე გიორგობიანი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახური თანაგრძნობას უცხადებს სამსახურის უფროსის მოადგილეს ხულიკო ხვანიძეს შვილის

ზაზა ხვანიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი თავმჯდომარე

კონსტანტინე (კოტე) ბურული

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ეშმაკი უნდა ისეთი იყოს...

ბინა-არსენალებისა და მიწაში ჩამარხული არსენალების ისტორია

ქ. რუსთავის პოლიციის სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი მ. ზამბახიძე თანამშრომლებთან ერთად მაშველთა კორპუსის წევრებისაგან ამოღებული იარაღის დათვალიერების დროს.

გივი კიკვაძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, პოლიციის გენერალ-მაიორს, ემზარ საბანაძეს ამ ცოტა ხნის წინათ (გაზ. „სრ“, 21/IV, 1995 წ.) ვკითხე: — ტრადიციად ხომ არ დაამკვიდრეს ერთი ავტომატის ჩაბარება, ორის კი მიწაში ჩამარხვა-მეთქი?

— ორს კი არა, ათასს ინახავენ. აგერ, რუსთავში ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტის თანამშრომლებმა ხევში გადამალული ათობით საბრძოლო იარაღი, ტყვია-წამალი და მძიმე ტექნიკა ამოიღეს, მომიგო.

მისი ნათქვამის ჭეშმარიტება რესპუბლიკის მასშტაბით წინა კვირას უკანონო იარაღის ამოსაღებად განხორციელებულმა ოპერატიულ-პროფილაქტიკურმა ღონისძიებამაც („არსენალი-95“) დაამტკიცა.

რატომ მაინცდამაინც „არსენალი-95?“

ოპერაციის ამ კოდური სახელწოდების მნიშვნელობასაც იოლად გაიგებთ, თუ წერილს ბოლომდე ჩაიკითხავთ. წინასწარ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მავანნი — ყოფილი მხედრიონელები, სხვა კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები — სახლში, სარდაფში, მიწაში, მართლაც, ერთ-ორ საბრძოლო იარაღს კი არ ინახავდნენ, არამედ მთელი არსენალი ჰქონდათ.

ახლა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ფილი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. თურმე რამდენს გვატყუებდნენ. ხან — ჩვენით ჩავაბარებთო, ხან — უშიშროების სამსახურს ჩავაბარებთო! სინამდვილეში თვალეში ნაცარს გვაყრიდნენ, ცრუობდნენ, ერთს თუ მართლაც აბარებდნენ, ათსს მიწაში ინახავდნენ, რათა შესაფერის დროს ამოეთხარათ და ახალი დარჩელის ტრაგედია მოეწყოთ, ან კონკურენტები ულმობლად დაეხოცათ და ჭებში ჩაეყარათ, ან სული გამარცული, სახლკარგადამწვარი, გაუპატიურებული ხალხი ემარხათ.

ჩვენმა შესანიშნავმა პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ თქვა, ეშმაკი უნდა ისეთი იყოს, რომ ეშმაკობა არ ეტყობოდესო. ვერ ხვდებოდნენ, თორემ ყოველ ნაბიჯზე საკუთარ [illegible] ვარდებოდნენ. ბოლოს ყველა ერთად გაება ხაფანგში. ნათქვამია, რაც მოგვია დავითო...

[illegible] დავიწყოთ.

სოფელ ოდეთის ტყეში მაშველთა კორპუსის არსენალი აღმოაჩინეს. ამ შემთხვევაში ჟურნალისტს არ ესაჭიროება ეპითეტები, შედარებები, სპეციალური ეფექტები. არსენალის შემადგენლობის უბრალო ჩამოთვლაც მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენს:

— ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი („რპგ-7); სამი ჭურვით, ორი ხელის ტყვიამფრქვევი; რვა ავტომატი („აკს“-74); ორი ავტომატი „აკმ“ და 2640 საბრძოლო ვაზნა; 16 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი; ექვსი ტყვიაგაუმტარი ჟილეტი; 238 კილო ტროტილი; რვა სამხედრო სტაციონარული რადიოსადგური; 12 მაგნიტური ნაღმი; 30 22-მილიმეტრიანი ამონალი; „აკს“-ის 2160 ვაზნა; ორ-ორი ასაფეთქებელი ნივთიერებები „პგ-15 ვ“, „კზ“-6 და „ტგ“-40; ორი რადიაციის დოზიმეტრი; შვიდი ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმები „დონ“-50; ერთი სტაციონარული რადიოგადამცემის გამაძლიერებელი და ტყვიამფრქვევის ლენტები.

ამ ინფორმაციით, ვიღაც თანამედროვე სამხედრო შეიარაღების დარგში თავის ცოდნას გაიღრმავებს, ვიღაც წაიფანტაზიორებს და გონებაში იკითხავს: ეს რაინდები დროში ხომ არ მოგზაურობენ და ახალციხის ფაშაზე თავს დასხმას ხომ არ აპირებენო! სხვა მხრივ, მაშველთა კორპუსს ამ დონის და ამ რაოდენობის იარაღი რად სჭირდებოდაო!.

რუსთავი.

მაშველთა კორპუსის წევრის უშანგი გელოვანის ბინა-არსენალი: „აკს“; ყუმბარმტყორცნი 13 ყუმბარით; „მაკაროვის“, ჩეხური და უცხოური სისტემის პისტოლეტები; ავტომატის რვა მჭიდი; ხელყუმბარა და სანადირო თოფი „ვინჩესტერი“.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

არამხედრიონელი თენგიზ მამისეიშვილი ბინაში „აკს“-ს, ხელის ტყვიამფრქვევს, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნის („მუხა“) ორ ჭურვს, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტსა და ხელყუმბარა „ფ“-1-ს ინახავდა.

წყალტუბო.

სოფ. ვეძეტიში, 72 წლის გიორგი ქუთათელაძის საცხოვრებელ სახლში 50 გრამი ფეთქებადი ნივთიერება ამონიტი იპოვეს, წყალტუბოში მაშველთა კორპუსის („მხედრიონის“) თავმჯდომარის მოადგილის [illegible] გოგიძის ბინაში — ავტომატი „აკ“-74.

გარდაბანი.

მაშველთა კორპუსის შტაბიდან ამოიღეს ერთი რეაქტიული ჭურვი, ამ ორგანიზაციის წევრის [illegible] ჯემალ აბდულაევის სახლიდან კი — ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები და ხელყუმბარა „ფ“-1.

ზესტაფონი.

აჯამეთელ გივი როყვაშვილს 800 გრამი ტროტილი და ექვსი მეტრი ბიკფორდის ზონარი სახლში ჰქონდა.

თბილისი, საბურთალო.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სინთეზის“ დირექტორის მოადგილის იუზა ჩარგეიშვილის ბინა-არსენალი: „აკს“, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი ხუთი ჭურვით; შვიდი ხელყუმბარა „ფ“-I და ასე შემდეგ.

[illegible] ელენე ამირეჯიბის ბინა-არსენალი: 200 გრამი [illegible]; 12 კაფსულ-დეტონატორი და სხვა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სიფრთხილის ელემენტარული გრძნობა რამ დააკარგვინათ? ამ ადამიანებმა საკუთარი [illegible] სიცოცხლეშივე მოიწყვეს ჯოჯოხეთი; ბინა-არსენალებში დენთის, ტროტილის, ხელყუმბარებისა და „მუხების“ გვერდით ცხოვრებას სხვა ვერაფერს დაარქმევ!

[illegible]

სოფელ ატენის ტერიტორიაზე 120-მილიმეტრიანი კალიბრის „ჰაუბიცა“ იპოვეს.

ქარელი: მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი.

ოზურგეთი: მიტოვებულ შენობაში ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი ხუთი ჭურვით.

[illegible]: „ნურსის“ სისტემის სარაკეტო დანადგარი 12 ჭურვით.

[illegible]: [illegible] მილის ქვეშ ავტომატი „აკმ“.

თბილისში, ისანში სპეციალურად მოწყობილ სამალავში იპოვეს ტანკის 55-მილიმეტრიანი საბრძოლო ჭურვები, საზენიტო ქვემეხის, „დშკ“-ს, „შილკის“ და „ნურსის“ ჭურვები, ხელისა და საავიაციო ტყვიამფრქვევების ვაზნები.

დღეს ამით დავკმაყოფილდეთ, ისედაც ერთი მობილური არმიის საკადრისი შეიარაღება გამოგვივიდა.

ღონისძიება სახელმწიფოს მეთაურის № 192 ბრძანებულების — „ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“ — შესაბამისად მიმდინარეობდა.

ზაურ მაკარაძე.

მორიგე რედაქტორი არჩილ [illegible]

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 00684, ტელ.: 99-73-24.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოზიაშვილ